



#1 (26)

2008

STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN



სტილი

არქიტექტურა ინტერიერი დიზაინი



ბავონის წარმოება



როცა ხარისხი ახარბილებს მოლოდინს

ვაჟა-ფშაველას 16

ტბი/ფანსი: 37 51 90

მობ: 897 37 99 99

ტბი: 37 99 99

WWW.SASCOGROUP.GE



სამშენებლო კომპანია
დომინანტი

თბილისი, ძაგის ქ.
ბ.ძეგელიძის ქ.: 96-05-64
მობ.: 899 63 00 11
E-mail: dominanti@mail.ru
www.dominanti.ge





ჩვენი საქონელი ბიზნის A კლასის მარკეტის უმჯობესი ახალი დასრულებული ხეიმნები ბიზნის სფეროში - BCV

- ახალი მანქანები, ტვირთის ტრეილერები
- ახალი მანქანების მომსახურების სადგურები და სერვის
- თანამშრომლობის პროგრამები, რეკონსტრუქციის პროგრამები
- BOSCH-ის მანქანების, მანქანების, ავტომობილების, სატელეკომუნიკაციო და ელექტრონიკის მანქანები
- დასრულებული და ახალი კომპლექსური პროექტების რეკონსტრუქციის პროგრამები
- ახალი მანქანების მომსახურების და ახალი ავტომობილების ავტოსადგომების მანქანები
- სადგურები და სადგურების OTS-ის მომსახურების ახალი სახეობების მანქანები
- ავტომობილების ბიზნის სფეროში საბაზისური პროგრამები
- ავტომობილების და ავტომობილების რეკონსტრუქციის სფეროში
- ავტომობილების და ავტომობილების მომსახურების
- ავტომობილების და ავტომობილების ავტოსადგომები
- ავტომობილების და ავტომობილების ავტოსადგომები
- ავტომობილების და ავტომობილების ავტოსადგომები
- ავტომობილების და ავტომობილების ავტოსადგომები
- ავტომობილების და ავტომობილების ავტოსადგომები



უმჯობესებული დასრულებული ხეიმნები
ბიზნის სფეროში 2008 წლის მდგომარეობით

www.bcv.ge



სარეკლამო კომპანია

სტილი



ბაზომათაძი - კომპანია **სტილი** და დიმიტრი მოსულიშვილი
ლიხაშვილი - ეკა ჯავახიშვილი
ჩაღახიშვილი - ნინო ლაგიძე
ინფორმაცია - ნინო ლაგიძე, ლალი ბახტაძე, ქეთევან ოდიშელი (სპეც.კორესპონდენტი ბერლინიდან)
მარკეტინგის მენეჯერი - ალისა შომაკია
თარგმანი - ნატა კურტანიძე
კომპიუტერული გრაფიკა - თამაზ ჩხაიძე
დისაინი - გია ნოზაძე
ბიზნესის მენეჯერი - მიჩან მახგილცაშვილი

PUBLISHER - Company **STYLE & Dimitri Mosulishvili**
DIRECTOR - Eka Javakhishvili
EDITOR - Nino Lagidze
INFORMATION - Nino Lagidze, Lali Bakhtadze, Ketevan Odisheli (Special correspondent from Berlin)
MARKETING MANAGER - Alisa Shomakhia
TRANSLATION - Nata Kurtanidze
COMPUTER GRAPHIC - Tamaz Chkhaidze
DESIGN - Gia Nozadze
SALE MANAGER - Mirian Margalitashvili

კომპანია "სტილი"
 0160 თბილისი, გამიჯვების ქ. N7, ბ.27
 ტელ/ფაქსი: 38-33-24.
 მობ: 877 44-86-00, 893 42-74-73

7 Gamrekeli Str., 0160 Tbilisi, Georgia.
 Tel/fax: (+995 32) 38-33-24.
 Mob: (+995 77) 44-86-00, (+995 93) 42-74-73

<http://www.archistyle.ge>
 E-mail: style_inbox@mail.ru
inbox@archistyle.ge

სარეკლამო ტიპსების შინაარსზე
 რედაქცია პასუხს არ აბეზს

გთავაზობთ:

- ◆ გარე რეკლამის დამზადება და განთავსება;
- ◆ ვიდეო რეკლამის დამზადება და განთავსება;
- ◆ პროექტირება, მშენებლობა, დიზაინი.



დაბაჟილია სტამბაში "ომეგა თეგი"
 სანახოვანო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
 ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
 TELEPHONE +995 32 53 03 62



CAPAROL

ნომის სპონსორი
 შპს „კაპაროლ-ჯორჯია“

არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

აჩიკეცხეულ-დიზაინერული ფუნქციის "სტილი" ევლავ აგიძლებს
 თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენს მიერ ჩადიზებული აჩიკეცხეულ-
 დიზაინერული პროექტები. მათ შორის საყურადღებო განთავსებული
 იქნება ფუნქციის "სტილის" მომდევნო ნომერში, ჩინთვისაც წინასწარ
 გიხდით მადლობას.

ჩედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასაღის მომზადებისა
 და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ფუნქციის გამოსაქვეყნებელი
 ობიექტი ნაჩიმდგენი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასაღის
 მალაღმაცხეული საჩინსით - ავტომატურად უჩიხვეყნდეს ობიექტის პირო-
 ფესიული ფოტოგადაღება.



საერთოფოტოგრაფია



BUREAU FOR INTERIOR DESIGN

www.artx.ge

ჩვენი განწყობა, ჩვენი ჩხუბნი

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 231, ტელ: 20-02-65

საქართველოს არქიტექტურის
ინსტიტუტი



წიგნი

2008

www.archistyle.ge

"საქართველოს არქიტექტურის წიგნი 2008" მოსწავლეობის
ბიუროს სანაწარმო მანქანის მიერ

ტელ.: +995 32 38-33-24

ფაქს: +995 93 42-74-73

შ.პ.ს. ინსტა



ქობულეთი, ბაქალაქის რაიონი,
სანქარსაწარმოების სისტემები,
პროექტირება, მონტაჟი



ოფისი: ქობულეთი, ზაფხუნაძის ქ. №8
ტელ.: 20 20 20/21, ფაქსი: 20 20 22
e-mail: sales@insta.ge

მარაგობა: ქობულეთი,
პანაგორის ქ. №4
ტელ.: 20 20 23, 39 90 98
e-mail: shop@insta.ge

გადასახდელი: 1000
ტელ.: (888 222) 3 03 49



სამთავრობო რეგისტრაცია

www.insta.ge



სარჩევი Content 1



ქალაქი CITY


სწორად მიგნებული ინტონაციები
Precisely Combined
Inflexions

14



რჩული ვილა
Rcheuli Villa

22



ქვევრში
Kvevrshi

28



სახლი მოსკოვის
გარეუბანში
A House
in Moscow Suburb

34

სახლი HOUSE



უცხოური არქიტექტურა
FOREIGN ARCHITECTURE
"Lam Lee" კოლექციები
Lam Lee Collections

40




ბუენოს აირესი
Buenos Aires

48




ზუსტად გათვლილი
გადაწყვეტები
Pin-Point Solutions

54




არქიტექტურის მნიშვნელოვანი
ნიუანსები
Important Aspects
of Architecture

60



A Letter from London


62



ძენი
Zen


63

ინტერიორი INTERIOR




მხატვრული, ახლობელი
Artistic and Appealing

70




სტილისტური
მთლიანობა
Stylistic Integrity

78



დიზაინერული კოლაჟი
Design Collage

84





ნიუ ლაიტი




PHILIPS

sense and simplicity


ბუნებრივი სინათლე

www.newlight.ge

სამაგისტრო სერვისი 12-ე ბიზნესი. ტელ.: 596-596, ფაქსი: 596-599



სარჩევი Content 2




ტიფლის თაუნი
Tiflis Town

90




ინტერიერული დომინანტი
Interior Dominant

94




გალერეა შარდენი
Chardin Gallery

96




გომ Art ელი
Gom Art Eli

100




ქარიმ რაშიდი გადასცემს
ჩილოებს დუბაელ სტუდენტებს
Karim Rashid presents
Dubai student
design awards

102



საზოგადოებრივი
ინტერიერი
Public interior

104




დეკორატიული
პალიტრები
Decorative Palettes

106




გრადუსის მოცულობითი
სტრუქტურა
Volumetric Structure
of Gradusi Restaurant

109




ელეგანტურობა
დეკორში ვლინდება
Elegance Revealed
in Décor

156




კომფორტი და სისადავე
Comfort and Simplicity

114




ბაფალო ბილ
Buffalo Bill

115




ევრომედიცენტრი
EuroMedCenter

116



ინტერიერული პალიტრა
Interiors Palette




117



2006-2007



ჩვენი სანაპირო - ტყვენი
სიამაობის პარკები



სს. პრეზიდენტი

პროექტი შედგება, რომელიც მოიცავს მრავალფუნქციურ სანაპირო პარკს და მრავალფუნქციურ სანაპირო პარკს.

- 25 "მედიკალი" სანაპირო;
- სანაპირო პარკები, რომელიც მოიცავს მრავალფუნქციურ სანაპირო პარკს;
- მრავალფუნქციურ სანაპირო პარკს.




www.modernwooding.ru
modernwooding@mail.ru

Tel: (822) 35-66-71
Tel/fax: (822) 34-67-46


0118, ხაბაშვილი, ქობულაძის, მ. რაჭველი ქუჩა, 118

2008






სარჩევი Content 3




თავისუფლების სტილი
Style of liberty

118




ფორმისა და
ფერის ალიანსი
The Alliance
of Color and Form

124




თავისუფალი სტილი
ინტერიერში
Free Style
of Interior Design

130



ოთახი ორი - 6 და 7 წლის
ბიჭისათვის
A room for two boys

136



LANDSCAPE DESIGN

ბუნება ჩვენს გვერდით
Nature by our Side

142



განწყობა
ყვავილებით
Flowers for Positive
Mood


144

შურნალი ვრცელდება


"ხვიის პაიხა" - ღიწმინდა და ნიღონს
მალაზიებში
"მასა" - ღიწმინდა
"პანაბა ჯოხა" - ღიწმინდა
"ომაბა" - ღიწმინდა (მომომის ჯათხაში,
ნიღაუნიუი საუაბაყოფოს მიბაბაბა,
ყიღმიძის ჯათხაში)
აბოუპოხი
"პანანი" - ღიწმინდა

სუპერმარკეტები:

"პოპალი" - ღიწმინდა
"ნიპო" - ღიწმინდა
"ნიღონი" - ღიწმინდა
"პონსინაბანი"
"ბიბ ბანი"




ისტორია HISTORY




ხანძის ტაძრის
მომავალი
The Future
of Khandzta Church

146



მატიანედ ქცეული კედლები
History Painted
on the Walls

152



სალონი „ზოლოტოი ნერვ“...
Golden Nerve Showroom

154


ახალი ამბები NEWS



ვარ მბატარი და
ვარ დიზაინერი
An Artist and
a Designer

162

ვერსიჟი VERNISAGE



Optical art


164



მუდმივგომედი
დღესასწაული
A Permanent Celebration

166

სერვის-მშენი



პატარა ბინა
საბავშვო ბინა

საბავშვო ბინა
საბავშვო ბინა

საბავშვო ბინა
საბავშვო ბინა

საბავშვო ბინა

საბავშვო ბინა

საბავშვო ბინა

საბავშვო ბინა



სწორად მიგნებული ინტონაციები

ახლანანს, თედაში,
ქავჭავაძის გამზიხზე
გაიხსნა სასტუმროს
კომპლექსი
"ჩიქული მახანი".

ავტორი:
დავით მახახობლიშვილი

საზოგადოებრივი სივრცის თანამედროვე გარემო არასოდეს ყოფილა მხოლოდ კომფორტული ინტერიერი. იგი, განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვის დამცველია და ისევე როგორც შემოქმედება, თავისი კანონებით ტრანსფორმირდება რეალობაში.

„ცენტრ პოინტის“ სასტუმროების ქსელის - „ჩიქული“ სასტუმრო, „ჩიქული მახანი“- დავით მახახობლიშვილის პროექტით შეიქმნა. მისი, დახვეწილი არქიტექტურა, ინტერიერი, ლამაზი ფურნიტურითა და საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებული ხიბლის მატარებელია. მშვენიერი, ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება, რადგან იგი მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიალად გარდაქმნას მოითხოვს. დეტალები, როგორც არქიტექტურაში, ისევე დიზაინში, არაორდინალური გამოვლინებით გამოირჩევა და მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. იგი ხილული თუ უხილავი ბარიერებით შექმნილ მსუბუქ ერთიანობას წარმოადგენს, სადაც არქიტექტონიკა, საერთო ფერითი გამა დეკორატიული აქსესუარების, ფურნიტურის მკვეთრი ტონებითაა აქცენტირებული. ადვილი წარმოსადგენია, რა სასიამოვნოა ადამიანებისათვის აქ თავშეყრა, ურთიერთობა და დასვენება.


ნიმუ ლალიძე

ფოტო: ზინკა ბარნოვი










Precisely Combined Inflexions


This article is dedicated to Hotel Rcheuli Marani, recently launched in Chavchavadze Avenue, Telavi. Author: David Makharoblishvili


Public space in its present-day interpretation is not just a comfortable interior, but rather an individual entity, featuring a unique atmosphere and merging with the outside world according to its own principles.

The project of Rcheuli Marani, belonging to the network of Center Point Group hotels, has been created by David Makharoblishvili. Its refined architecture and interior design, decorated with beautiful furniture and accessories, have a special charm. Originality and expressivity of design elements integrate the space, in which architectonics and general color palette is highlighted by contrasting tones of furniture and ornaments to form a perfect setting for leisure and relaxation.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY ZINKA BARNOV









Caucasus Build 08

13th International Fair for the
Building and Interiors

მშენებლობის და ინტერიერის 13-ე საერთაშორისო გამოფენა

Tbilisi, Georgia
May 17 - 19 2008





რჩეული ვილა

ამჯერად წაჩმოდგენილი, "ცენტის ჰოინის" სასტუმროების ქსელის, "ჩრეულის" - სასტუმროს, "ჩრეული ვილა", ულამაზესი შენობა, ხომელიც ბათუმში, ვოხდანიას ქუჩაზე მდებარეობს სასიამოვნო დისონანსის მქონე მოედონებებს ექვსიხიხებს.

პროექტის ავტორი: ი. კეხევიძე

შენობის არქიტექტურა გარემო სივრცის დომინანტია, ერთბაშად იპყრობს ყურადღებას და დადებითად განაწყობს მნახველს. სასტუმროს ინტერიერში მოხვედრისას შთაბეჭდილება ძლიერდება. აქ, ულამაზესი ნივთების, ნაკეთობების, აქსესუარების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე პოლარული თემებითაა აღსავსე. მის ორგანიზებაში მინიმალიზმი და ეკლექტიკა გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. ასეთი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში „ისტორიულ ჩართვებს“ განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის. სასტუმროში საზოგადოებრივი ცხოვრება რამოდენიმე დომინანტი ნიუანსისადმია კონცენტრირებული, თუმცა არალოკალურად. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი, სხვადასხვა დეკორატიული ნაკეთობებით შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, რომ ჭეშმარიტად თანამედროვე ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ თანამედროვე ფორმებსა და საგნებს, ის აუცილებლად ეყრდნობა წარსულის სახასიათო ნიუანსებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის ჭეშმარიტად თანამედროვე უღერადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.


ნიმუ ლალიძე

ფოტო: ზინკა ბარნოვი



Rcheuli Villa

Hotel Rcheuli Villa, belonging to the network of Center Point Group hotels – a beautiful construction located in Jordania Street, Batumi, stands as a symbol of unexpectedness, based on pleasant dissonances.



Architecture of the construction dominates its surrounding space, catches the attention and leaves a positive impression on the onlookers. This impression becomes even stronger in the interior. Here distribution of ornaments, decorations and accessories is subjected to a consistent pattern and plays a significant role in defining the atmosphere of the interior. Public life in the hotel is concentrated around several domi-

nant elements. The space contains numerous counterpart themes, subjected to the general principle of minimalism and eclectics. This approach allows introduction of "historical" touches into the modern stylistics and proves the necessity of such details and associations in accentuating the flair of true modernity.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY ZINKA BARNOV







დემონსტრირი სემპლერო სემპსეროები



კვანახა

პირი

მინა

მინა

მარტონი ანა

მარტონი ანა

განვადება

80-00-10 დიზაინ სტილი



განვადება J Ltd
ტელ: 31-33-44
ფაქს: 877 49-44-00
www.for.ge

სამომავლოდ

ქვევრში



თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე, ახლახანს გახსნილი რესტორნის - „ქვევრში“ - არქიტექტურა ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა. შენობას პრაქტიკულად მთავარი ფასადი არ გააჩნია. იგი ერთ მთლიანობაში აღიქმება. სხვადასხვა გეომეტრიული, მობილური ფორმების შერწყმით, მისი მოცულობა დინამიკური და შესაბამისად მრავალფეროვანია. პროექტის ავტორები - რატი ხეცურიანი, ირაკლი ლაზარიაშვილი და გოგა ხვიტია არიან.


არაორდინალური ნაგებობა, ვიზუალური სიმსუბუქით და სილუეტის გრაფიკული დინამიკით, თავიდანვე იპყრობს ყურადღებას. არქიტექტონიკის ძირითადი ჯგუფები ერთმანეთთან მოხერხებულადაა დაკავშირებული. განხორციელებული პროექტის ღირსება, მისი გარემოსთან ურთიერთკავშირში მდგომარეობს. ინტერიერის ატმოსფერო ჰაერიოთა სავსე და თავისუფლების შეგრძნებითაა გაჟღენთილი. დიდი მასების კონსტრუქციულ სიმსუბუქეს,



დიზაინის ელემენტებიც იმეორებენ. ინტერიერში ყურადღებას იპყრობს დეკორატიული კომპოზიციები, სხვადასხვა აქსესუარების ფორმა, ფერი, ტრადიციული კოლორიტი. ნაგებობის მგრძობიარე მეზობრანად გარდაქმნილი გარსი, შიდა და გარე სამყაროს ერთიმეორის მონაცვლეობით აღიქვამს.

ნიმო ლალიძე
ფოტო: დიმიტრი ლომიძე









Kvevrshi

Restaurant Kvevrshi, located in Nutsubidze Street, in Tbilisi, features original architectural composition. Authors of the project: Rati Khetsuriani, Irakli Lazariashvili and Goga Khvitia.

This unordinary construction with no facade attracts attention by visual lightness of its roofing and graphical dynamics of shape. major architectonic groups are comfortably linked with each other. The key attraction of this project lies its integration with the air and the feeling of freedom. Architectural forms fall into the range of its structural elements. The shell of the building is a delicate membrane, sensing the beat of the outer world.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY DIMITRI LOMIDZE



NOVELTY IN GEORGIAN INTERNET SPACE




www.e-info.ge - ახალი სივრცე
ქართული ინფორმაცია სერვისში

ქართული ინფორმაციის სერვისი
www.e-info.ge სარეკლამო-ინფორმაციო
სერვისი, ინფორმაციის სერვისი და
საინფორმაციო სერვისი ერთი
სერვისი.

- ინფორმაციის სერვისი სარეკლამო-ინფორმაციო სერვისის, ინფორმაციის სერვისის, ინფორმაციის სერვისის და სერვისის ერთი სერვისი.
- ინფორმაციის სერვისი და სარეკლამო-ინფორმაციო სერვისი.
- ინფორმაციის სერვისი და სარეკლამო-ინფორმაციო სერვისი.
- ინფორმაციის სერვისი და სარეკლამო-ინფორმაციო სერვისი.
- ინფორმაციის სერვისი და სარეკლამო-ინფორმაციო სერვისი.
- ინფორმაციის სერვისი და სარეკლამო-ინფორმაციო სერვისი.
- ინფორმაციის სერვისი და სარეკლამო-ინფორმაციო სერვისი.

www.e-info.ge ინფორმაციის სერვისი
სერვისი და სარეკლამო-ინფორმაციო
სერვისი ერთი სერვისი.

WWW.E-INFO.GE



სახლი მოსკოვის გარეუბანში

დიზაინერ დათო მეტონიძის პროექტის მიხედვით განხორციელებული, რეკონსტრუირებული საცხოვრებელი სახლის მოცულობა მოსკოვის გარეუბანში - „რუბლიოვოში“, არსებული გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დომინანტად იქცა.

სამსართულიანი, მანსარდიანი საცხოვრებლის თავდაპირველი სახე, ტიპიური „ფსევდოსააგარაკე“ სტილით, სახლის მფლობელის ესთეტიკურ მოთხოვნებებს არ შეესაბამებოდა და მას სურვილი გაუჩნდა კარდინალურად შეეცვალა იგი. იდეის განსახორციელებლად, თავის მეგობარს, დიზაინერ დავით მეტონიძეს მიმართა.

სახლის მეპატრონემ, პროექტზე მუშაობისას და მისი შემდგომი განხორციელების პროცესშიც (რომელიც ზოგჯერ, რუბლიოვოსეული მშენებლობის, თბილისიდან ზედამხედველობით მიმდინარეობდა) დიზაინერს სრული თავისუფლება მიანიჭა. ავტორი, პროფესიულად, მისთვის დამახასიათებელი სკურპულოზურობით მოევიდა საქმეს, ესკიზებზე მუშაობით, თანმიმდევრულად დაიწყო ჩანაფიქრის, მისი განვითარების ვარიანტების განხორციელება - ასე ვთქვათ ინტელექტუალურ-პროფესიული „თა-





მაში“ და თანდათანობით უსისტემოდ ამოყვანილი მოცულობები ულამაზეს საცხოვრებლად გარდაიქმნა.

პირველ რიგში, არსებული შენობის ექსტერიერის ტრაფარეტულობის დარღვევა - ხისტი ფორმის დაშლა იყო საჭირო, რაც ავტორმა არაორდინალურად გადაჭრა. მისი

მობილური სახის ჩამოყალიბების შესაბამისად ინტერიერში ახალი კომპოზიციური თუ თემატური ცენტრები გაჩნდა.

საცხოვრებლის დახურული და ღია მოცულობებისათვის დამახასიათებელი მოძრაობა ცოცხალი და რითმულია და მოვლენის ტრადიციულად გააზრებასა და აღქმასთან შეფა-

რებით უფრო მეტის მომცველია. აქ, წონასწორობაა სიმშვიდესა და მოძრაობას შორის და უფრო მეტია თავისუფალი ტიპის შემოქმედების შედეგი, რაც გარკვეული დაკვირვებისას ვლინდება. მოდულური კომპოზიცია - კონსტრუქციული ელემენტების პროპორციები თავისუფალია. მას საფუძვლად ესთეტიკუ-




რი კრიტერიუმები უდევს. ინტერიერში - გეგმარება, დიზაინი, სვეტებით, კოჭებით, ზღუდარებით შექმნილი სივრცითი კომპოზიციები ფუნქციონალურ-ესთეტიკური ხასიათის მატარებელია და მის თვითმყოფადობას განსაზღვრავს. საცხოვრებელის ერთიანი სივრცის შექმნისას, პარადულ და პრივატულ ზონებში

„მოძრაობის მარშრუტის დასარეგულირებლად“, დიზაინერმა კოორდინირებული დეკორი გამოიყენა. ეფექტური კომპოზიციური საშუალებებით - ფენ-შუის ელემენტების გამოყენებით, ფუნქციურად ორგანიზებული საცხოვრებლის საინტერესო დიზაინი შეიქმნა. განყენებულ ფორმებში ნაგრძობი სივრ-





ცე, რომელშიც ისახება დინამიკა, განუსაზღვრელ მრავალფეროვნებას იძლევა. სახლი მასშტაბურია და ჰორიზონტალურ ლანდშაფტზე მდგარი, სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ტოვებს. ექსტერიერის კონტურები, პროპორციები, მნახველს ინტერესითა და სიმპატიით განაწყობს.





არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტაში ორი მნიშვნელოვანი პრინციპია გატარებული - ერთის მხრივ, სახლის არქიტექტურა აბსოლუტურად თანამედროვეა, კოსმოპოლიტურია. ამგვარი სახლი ნებისმიერ ადგილას შეიძლება იდგეს, მეორე მხრივ იგი ძალზე „ადგილობრივია“. მასში არაფერი არ არის უცხო. გონივრულად შერჩეული ნატურალური მასალა, აქსესუარები თუ თითოეული ნიუანსი სახლს დასამახსოვრებელ მოცულობად და სუფთა, ეკოლოგიურ გარემოდ გარდაქმნის.

ნიქო ლალიძე





A House in Moscow Suburb

Reconstructed residential construction in Rublevo - Moscow suburb, designed by David Metonidze, has become an important dominant of its immediate architectural setting.

The house owner wished to fully overhaul the initial, typically "pseudo-suburban" construction, which did not conform to his aesthetic requirements. He invited his friend, designer David Metonidze, to help him with this project.

The designer approached the task with his customary professionalism and scrupulosity and went through all the motions while developing his ideas.



Gradually, a desultory array of walls and ceilings got transformed into a beautiful house.



Characteristic flow of closed and open volumes in the house is live, rhythmical and meaningful. The construction features a surprising balance between serenity and movement. As a result of careful observation, an onlooker can see all the benefits of this free-flowing modular composition with unconstrained proportions and refined structuring of construction elements. Dynamic space, captured in abstract forms, provides for unlimited diversity. Planning and design of the interior with spatial compositions of columns, beams and railings

have both functional and aesthetic connotations, accounting for their originality.

The bulky house, standing on a horizontal site, leaves an impression of visual lightness. Architectural-planning solution of the construction is based on two key principles – on the one hand, architecture of the house is fully modern, cosmopolitan. Such a house can stand anywhere. But on the other hand it is very "local". There is nothing alien in it. Carefully matched natural construction materials, accessories and details endow the house with originality and clean, environment-friendly atmosphere.

NINO LAGHIDZE





სიანხე ანთონ ბაზახე

BONPET - უნიკალური ცეცხლსაქიმი მონუმბილობა

BONPET - უნიკალური ცეცხლსაქიმი მონუმბილობა, რომელსაც 1998 წლიდან სლოვენური ფირმა BONPET SYSTEMS აწარმოებს. ბონპეტის მონუმბილობები და მათი საფუძველები შექმნილი ავტომატური სისტემები სხვა ცეცხლსაქიმი სისტემებისგან განსხვავებით ხანძრის ეფის აღმორქვის ელოდან საკმაოდ მცირე მონაკვეთში უზენველოდენ ხანძრის ელოდ ღიკვიდაცას.

აღნიშნული ჰილოექტი ელთ-ს სიკიციში მბოლოდ იუსეთის ბაზახე იკიდება. საქაიოველოში ახალი ჰილოექტის ჰიუნენციაცია სეღ ახლახანს მუსიკალური კომილიის თეატრის ფოიეში შედგა, რომელსაც სლოვენის ბონპეტის ქახინის მენეჯერი ნიკოლაი სოვა და სლოვენის ქახინის სამეთვალეულო საბჭოს თავმჯდომაიე მინაიღ ვიშნიაკოვი ესენიბოდენენ.

"ხანძარი კოველივის საშიშია, ხამდენიბე ნაშიი ჰაჰაი ცეცხლიც კი შესადლოა კონკოილიდან გამოვიღეს და გაანადგოხოს ყველაფერი. ბოლო წლების განმავლობაში ხანძრის საშიშიოება მთელ მსოფლიოში და მათი შოხის საქაიოველოშიც, საგაიხნობლად გაიზახდა. კოველ-

წლიუხად თბილისში ხანძრებისგან ზიანდება 30-მდე შენობა-ნაგებობა, ხანძრის შემთხვევების ელოს კოველნიუხად 100-მდე ადამიანი იღუპება. იმ შემთხვევაშიც კი ჰილოესაც მუნანძიუები ადგილზე ელოზე მიღიან, ხშირად ევი ხეხილება ხანძრის რაქიობა კაილიციური მეთოლებით. შესადამისად, ახალი ჰილოექტის BONPET-ის შემოცანა ქვეყანაში გარენილმა მოთხოვნამ განაპიოხობა. დიონციუება ახლებობს ჰილოეს კოპოპიაციური, ასევე ენიოციური პიოების მხიღან. მათ სუხით, BONPET-ი იოლისება და სახლებში დაამონტაჟონ. დანადგაიის უნიკალუიობა განისაზღვიება იმითაც, რომ მას 10-წლიანი მომხაიების ვადა აქვს." - განმაიყა "ბონპეტის" ოფიციალური დისკრიბუციური კომპანიი "ვიემ სტილი" ნაიომბადენენილა საქაიოველოში გეღა მალხაძემ.

"BONPET ხანძარიოიებულ ზედპიოზე ქნის მიუხიპის თხელ ფენას, რომელიც ხელს უშლის ცეცხლის ევღავ ნაიოქნანს 24 საათის განმავლობაში. შენობაში მომხდარი ხანძრის ღიკვილების შემდეგ ბონპეტის ხანძარიანადღიგეო მონუმბილობის საშუალებით დანაჰიგი მინიმალია. ხანძრის შემდეგ უპიობღემოდ შეიძლება საყოფაცხოვრიბო დანადგაიების გამოყენება, თუკი მათზე მოხვედილია ბონპეტის ხანძარი. ბონპეტი ნაიომბადენს გეიშეკიოელ შუშის აბუღას, რომელიც დამზადებულია კიავიპაუფიოხი მუშისგან და შევსებულია სპეციალური სითხით BONPET (ხანძარი 100% ოიგანიყაა და აი აიის მავნებელი ადამიანისთვის და გაიეოისთვის). ბონპეტის ჰილოექტია ევვე 15 წელი ნაიმატებით გამოიყენება ევიოპისა და აზიის ქვეყნებში" - იოქვა ჰიუნენციაციაზე.

დანადგაიის დამონტაჟების შემდეგ ნებსიმიე მომხაიებლს შეუძლია მშვიდად დაციკოს ობიექტი, ხადან ხანძრის გარენის შემთხვევაში BONPET-ი მის ღიკვიდაცას შეიძებს. ეთი დანადგაის 20-30 ევღახაღელ მეტეფაიოზე გარენილი ხანძრის ღიკვიდაცია შეუძლია.

"ქაიოელ ბაზახე გამორენილი ახალი ჰილოექტის საცალო ფაიი ჰეიქეიობით დადგენილი აი აიის, ხადან საბოლოო ხაიჯს განბადების ჰიოციუელების დახელების



გეღა მალხაძე

შემდეგ დავითოვით. სავაიელოდ ეთი ცაი ბონპეტის ფაიი 300-350 დაიის ფაიგლებში იქნება" - აღნიშნავს გეღა მალხაძე.

ციეცხლსაქიმი სისტემას BONPET მიღებული აქვს მიავალი ჰიღლო და ღიპლომი საეითამოიხოს გამოფენებზე, ეამაივი საეიკომენდაციო თუ მადლობის წეიილი სამთავიობო მიგანიზაციებისაგან და მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიებისაგან. ბონპეტის მონუმბილობები სეიტიციუიებუელია და პასუხობს ISO-9001:2000 მსოფლიო სტანდარტებს.

ციეცხლსაქიმი მონუმბილობა ბონპეტის ოფიციალური დისკრიბუციური საქაიოველოში სამშენებლო კომპანიი "ვიემ სტილი", რომელიც საქაიოველოს ბაზახე 2007 წლის სექტემბრიდან ოპეიიებს. კომპანიი "ვიემ სტილი" მომხმარებელს ასევე სთავაზობს მაღალი ხაიხინის მომხმარებელს ინციეიიის, ექსეციიიის, ეეკოიაციისა და დანდმადეუიი აიქიექეუიის სეუიოში.



პროფინტანცია



„ალმოსავლური ავეჯის ლაქი“ (O.L.F.), Lam Lee International-ს, სახელწოდებით, მსოფლიოს 50 წლის წინ მოეწინა. იგი ჩინური „კორომანდელისა“ და ლაქების დამზადების უძველესი ტექნიკის გამოყენებით, არაჩვეულებრივ ფურნიტურასა და დეკორატიულ ნივთებს ქმნიდა. 1980 წელს კომპანიაში შევიდა უნიჭიერესი მხატვარი Lam Lee. მან მკვეთრად შეცვალა კომპანიის ტრადიციული სტილი. 2003 წლის 18 იანვარს ბატონ Lam Lee-ს, Academy of Achievement Award-ის პრესტიჟული პრემია მიენიჭა.




სტეფანო ურბინატი
STEFANO URBINATI

დღეს, ბატონი Lam Lee, მის მიერ შექმნილი პროფესიონალი დიზაინერების ჯგუფის გარემოცვაშია და კომპანიას მეთაურობს. მისი ხელმძღვანელობით, დიზაინერულმა კოლექტივმა მრავალი იდეისა და ტექნოლოგიის გაერთიანებით, დიზაინის გლობალურად აღქმა შესძლო. შედეგად მიღწეული იქნა "Lam Lee"-ს პროდუქციის ინდივიდუალურობა, რომლითაც იგი სხვებისგან რადიკალურად გამოირჩევა პროტოტიპების შემქმნელი. 300 დიზაინერის, ოსტატ-კონსტრუქტორისა და დეკორატორის გარდა, ფირმაში 2000 ხელოსანი მუშაობს.

"Lam Lee"

კოლექციები






ყოველი მათგანი აქსესუარების, დეკორატიული პანოების, განათების დიზაინისა და ავეჯს არაჩვეულებრივ კოლექციებს ქმნის. "Lam Lee"-ს ხელთნაკეთი ნივთები უნიკალურია. ყოველ 6 თვეში ერთხელ ექვსასამდე ახალი ნივთი იქმნება. ისინი, არა ცვლიან, არამედ ავსებენ "Lam Lee"-ს კოლექციებს, რომელიც თავისთავად ხუთი დასახელების კოლექციას მოიცავს:

1. OLF - თანამედროვე ავეჯი და მსხვილი აქსესუარები, "Lam Lee"-ს ტიპიური ხაზებითა და დიზაინით;
2. LEEAZZANE (LIGHTING COLLECTION) - განათების კოლექცია (მაგიდის ნათურები, ტორშერები, ლუსტრები, ბრები);
3. SINUOS - აქსესუარები;
4. ALLUSIONS - კლასიკური ავეჯი და მსხვილი აქსესუარები "Lam Lee"-ს ტიპიური ხაზებითა და დიზაინით;
5. ARTTRA - დეკორატიული პანელები, შირიმები.

"Lam Lee" მოიცავს ავეჯის მონაცვობა-დეკორირების 100-ზე მეტ მეთოდს. დეკორირებისას გამოიყენება მრავალი ძველი ტექნოლოგია, რომელთა შორის უმრავლესი, თავად Lam Lee-ს მიერ იქნა შესწავლილი, კორექტირებული და თავიდან შექმნილი. საგნების დეკორირებისა და წარმოებისათვის მრავალრიცხოვანი მასალა გამოიყენება: ნატურალური ლაქები, ვერცხლი, ოქრო, კერამიკა, პლექსიგლასი, მინა, ლითონი, ხე და ქვა. არტიკულთა უმრავლესობა ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთს ერწყმის, არა მხოლოდ აწყობის მეთოდით, მასალის, სტილის კოლექციების მიხედვით, არამედ სხვადასხვა ტონალობებითაც. "Lam Lee"-ს პროდუქციით წარმოუდგენელი რაოდენობის კომბინაციები იქმნება, ეს შესაძლებლობას აძლევს არქიტექტორს და დიზაინერს, შექმნას არაჩვეულებრივი ინტერიერები და ჩვეულებრივი სათავსოები ბრწყინვალე აპარტამენტად გარდაქმნას...





ყოველივეს ამას კი მოიცავს უნიკალური და უკონკურენტო წარმოება, იდენტიფიკაციით - "Lam Lee-ს სტილი".

ნელინადმი ორჯერ (იენისში და ნოემბერში), ბრიუსელში, ევროპის ცენტრალურ შოურუმში (1500 კვ.მ ფართით) ახალი კოლექციების პრეზენტაციები იმართება. აქ, მთელი ევროპიდან ინვევენ პარტნიორებს. 1990 წელს ვერიგემში (Waregem, ბელგია), ევროპული შტაბბინა - "Lam Lee Europe" დაარსდა, რომელიც დღეს ევროპისა და აფრიკის 30-ზე მეტ ქვეყანასთან თანამშრომლობს.




"Lam Lee"-ს კლიენტები ევროპის ცნობილი ბუტიკები არიან. მსოფლიოს მრავალრიცხოვანი სასტუმროების არჩევანი "Lam Lee"-ზე გაკეთდა. ეს სასტუმროებია: "NEW YORK PALACE, BOSCOLO HOTEL" - ბუდაპეშტი, უნგრეთი; "GRAN HOTEL LA FL ORIDA" - ბარსელონა, ესპანეთი; "SAVOY" - კიოლინი, გერმანია; "HILTON HOTEL" - პორტო-როზა, ფურნარი, იტალია, ტაორმინა, სიცილია, იტალია; "SAS RADISSON GOLDEN SANDS RESORT" - მალტა; "HILTON HOTEL" და "STANHOPE HOTEL" - ბრიუსელი, ბელგია; "HOTEL LENKERHOF" - შვეიცარია; "CARLTON GROUP" - ნორვეგია და სხვა.

რუსეთს, "Lam Lee", ბატონი სტეფანო ურბინატისა და მისი მეუღლის, ქალბატონი ალიზონ ჯაკობსის წყალობით, 2000 წელს მოევიწყა. ისინი, "Lam Lee"-ს ჯგუფში შემავალი ფირმის "Marco Polo Lam Lee Collection" მფლობელები და იტალიის, დსთ-ს ქვეყნების და ბალტიპირეთის ტერიტორიებზე, "Lam Lee"-ს მარკის ოფიციალური დისტრიბუტორები არიან. მათი, სილამაზისა და ხელოვნებისადმი სიყვარულის, საქმისადმი შეუპოვრობითა და ეთუზიანობის მეშვეობით, მრავალმა გაიცნო და ჯეროვნად შეაფასა "Lam Lee".

ბატონ სტეფანო ურბინატის, მისი თბილისში ყოფნის დროს შევხვდით. ჩვენი გაცნობა მოსკოვური ბრენდის Salon-Interior-ს მთავარი რედაქტორის, ქალბატონ ოქსანა კაშენკოს რეკომენდაციის ფონზე შედგა. ბატონ სტეფანოს, საქართველოსთან და კერძოდ, ჟურნალ „სტილითან“ დაკავშირებით სამომავლოდ ძალზე საინტერესო პროექტები აქვს დასახული. ამჯერად კი წარმოგიდგინო, სპეციალურად, ჟურნალი „სტილისთვის“, მის მიერ მოწოდებულ "Lam Lee"-ს კოლექციების ამსახველ ფანტასტიკურ მასალას.









Lam Lee Collections

OLF (Oriental Furniture Laquer) brand, famous for its perfect furniture and decorative objects, produced using the Chinese Cormorandel and ancient lacquer techniques, emerged under the title of Lam Lee International about 50 years ago. In 1980, the company was joined by talented painter Lam Lee, who radically changed their traditional style. On January 18 2003, Lam Lee won the prestigious Academy of Achievement Award. Nowadays Lam Lee, surrounded by a group of professional design-

ers, stands at the head of the company. Under his leadership, the "Lam Lee" creative team acquired a global vision of design and adopted numerous ideas and techniques, ensuring inimitable individuality to the company's products. Together with 300 designers, constructors and decorators, designing prototypes, the company employs 2000 craftsmen. All these people create wonderful collections of accessories, decorative panels, light fixtures and furniture.







The unique quality of Lam Lee products is ensured by manual work. Once every 6 months, Lam Lee issues up to 600 new articles, expanding rather than replenishing the range of existing collections. Lam Lee products can be broken down into five collections:

1. OLF - modern furniture and large accessories with typical Lam Lee shaping and finishing;

2. LEEAZZANE -lighting collection, including table lamps, floor lamps, chandeliers and wall lamps.

3. Sinuos - accessories

5. ARTTRA - decorative panels, decorative installations and folding screens.

Lam Lee uses over 100 finishing styles. Decoration practices include numerous ancient techniques, many of which have been revised, corrected and reorganized by Lam Lee himself. Decoration and production processes utilize a wide diversity of materials: natural lacquers, mosaic gold and silver, ceramics, Plexiglas, glass, metal, wood and stone. Many of the articles can be matched by finishing, material, style or collection as well as coloring. The number of matching combinations offered by Lam Lee products is unlimited, so that interior designers and architects can create luxurious interiors and totally change the image of any, however ordinary, space. All this is guaranteed by unique and unmatched business, identified as Lam Lee style.

Twice a year (in June and December), Central European Showroom in Brussels hosts presentations of new collections, attracting the





professional public from all over Europe. In 1990, Lam Lee formed its European headquarters - Lam Lee Europe, located in Waregem, Belgium and currently cooperating with over 30 European and African countries. The list of Lam Lee's clients includes the most famous European boutiques and hotel, such as New York Palace, Boscolo Hotel (Budapest, Hungary), Gran Hotel la Florida (Barcelona, Spain), Savoy (Cologne, Germany), Hilton Hotel (Porto Rosa, Funari, Italy), Taormine (Sicily, Italy), SAS Radisson Golden Sands Resort (Malta), Hilton Hotel and Stanhope Hotel (Brussels, Belgium), Hotel Lenkerhof (Switzerland), Carlton Group (Norway), etc.

Lam Lee was introduced into Russia in 2000 due to the efforts of Signor Stefano Urbinati and his wife Allison Jacob - owners of Marco Polo Lam Lee Collection, member of Lam Lee Group and official distributor of Lam Lee brand in Italy, NIS and Baltic countries. Their fondness toward beauty and art, their determination and enthusiasm spread the knowledge about Lam Lee among a wide circle of public and ensured its long-standing popularity.

We met Stefano Urbinati during his visit to Tbilisi, based on the recommendation of Ms. Oksana Kashenko, editor-in-chief of Moscow brand Salon-Interior. It should be noted that Mr. Urbinati has some really interesting projects in connection with Georgia and STYLE Magazine. But right now, we just present to your attention the materials on fantastic Lam Lee collections, which he kindly offered to STYLE Magazine.

ბუენოს აირესი

ქეთევან ოდიშელი - სპეც. კოიხესპონდენტი ბეჩინიდან



არგენტინის დედაქალაქი ბუენოს აირესი, არა მარტო დედაქალაქი არამედ ქვეყნის კულტურული, ეკონომიკური და ინდუსტრიული ცენტრია. არგენტინის მოსახლეობის ერთი მესამედი (13 მლნ.) ბუენოს აირესში ცხოვრობს.

ქალაქი მდინარე რიო დე ლა პლატას (Rio de la Plata) ნაპირზეა გაშენებული. დაგეგმარება კლასიკურ-კოლონიალური აქვს.

როგორც ყველა დიდი ქალაქი, ბუენოს აირესიც ხმაურიანი, საკმაოდ ჭუჭყიანი და ამაღლევებელია. სატრანსპორტო მოძრაობა ძირითადად ცალმხრივი და საკმაოდ ქაოსურია. უამრავი მსუბუქი მანქანის გარდა ქალაქს 40000 ტაქსი ემსახურება. ტაქსით მგზავრობა არც თუ ისე ძვირი ღირს. იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაადგილების საშუალებას წარმოადგენს. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ავტობუსები და მეტროა. მოსახლეობა ძალიან კეთილგანწყობილია.



ბუენოს აირესი უფრო სამხრეთ ევროპული ქალაქია, ვიდრე სამხრეთ ამერიკული. აქ იტალიური, ესპანური და ფრანგული არქიტექტურის დიდი გავლენა იგრძნობა. ბუენოს აირესში უამრავი არქიტექტურული სტილია წარმოდგენილი. მე-19 საუკუნის ბოლო, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის დამახასიათებელი არტ დეკოს და მოდერნის სტილის ორნამენტებით და ქანდაკებებით მდიდრულად შემკული მონუმენტური ნაგებობები განუმეორებელ სახეს აძლევს ქალაქს.

ცენტრს Plaza de Mayo წარმოადგენს. ამ მოედანზე მდებარეობს მთავრობის სასახლე ჩასა ლოსადა – ვარდისფერი სახლი.

Plaza de Mayo-სა და Plaza del Congreso-ს შორის მდებარეობს




ავენიდა დე მაიო - ბუენოს აირესის ყველაზე შთამბეჭდავი ქუჩა. 20-იანი წლების არქიტექტურული მონუმენტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არქიტექტორ მარიო პალანტინის მიერ 1922 წელს აშენებული შენობა Barolo - იმ დროისთვის ბუენოს აირესში ყველაზე მაღალი ნაგებობა. ბაროლოს ფასადი უხვად არის შემკული ბალუსტრადებით და მისტიკური ფიგურებით.

მსოფლიოში ყველაზე განიერი ქუჩის Av. 9 de Julio-ს და Av. Corrientes-ს გადაკვეთაზე აღმართულია ბუენოს აირესის სიმბოლო, ობელისკი. ობელისკი 1930 წელს დაიდგა იმ ადგილას, სადაც პირველად აფრიალდა არგენტინის დროშა.

ფლორიდას ქუჩაზე აღმართულია 30-იან წლებში, სამხრეთ ამერიკაში ყველაზე მაღალი ცათამბჯენი Edificio Kavanagh. ნაგებობა, კორინა კავანას დაკვეთით, 1934 წელს, არქიტექტორების - სანჩესის, ლაგოსის და დე ლა ტორესის მიერ დაპროექტდა და სულ რაღაც, ორ წელიწადში აშენებულ იქნა. Edificio Kavanagh დიდი ხნის მანძილზე მსოფლიოში ყველაზე მაღალი რკინა-ბეტონის კარკასის მქონე შენობა იყო. დღეს დღეობით, ისტორიულ ძეგლად აღიარებული Edificio Kavanagh, ბუენოს აირესის ყველაზე შთამბეჭდავი არქიტექტურული შედეგია.

ქალაქის ყველა უბანს თავისი სახელი და ისტორია აქვს. სამხრეთ ნაწილში მდებარე შან თელმო 1735 წლიდან არსებობს. 1870 წლამდე აქ არისტოკრატთა ოჯახები ცხოვრობდნენ, მოგვიანებით კი, ეს უბანი, ახლად ჩამოსული






ემიგრანტების თავშესაფარ უბნად გადაიქცა. 1970 წლიდან „სან-ტელმო“ ძეგლთა დაცვას გადაეცა.

ყოველ კვირა დღეს, დორეგოს მოედანზე ანტიკვარული ნივთების ბაზრობა იმართება. მიმდებარე ქუჩებზე კი ქუჩის მსახიობები წარმოადგენენ თავიანთ ხელოვნებას.

ფერადი უბნის - La Boca-ს მთავარი ქუჩა, მხოლოდ 100 მეტრის სიგრძისაა. ცნობილი ტანგოს სიმღერა დაედო საფუძვლად ქუჩის სახელს - Caminito. გადმოცემით ტანგოც ამ უბანში დაიბადა. მხატვარ Benito Quinquela Martin-ის იდეით, კამინიტოზე მდებარე თხელი მეტალის ფირფიტებით აშენებული ნაგებობები სხვადასხვა ფერად იქნა შეღებილი. ამ შენობებში ძირითადად მხატვრების სახელოსნოებია.

La Boca-ს კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობაა ფეხბურთის კლუბი Boca ჟუნიორის სტადიონი Bonbonera.

ბუენოს აირესის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე Recoleta-ს ალ-



ორძინება 1870 წელს დაიწყო. ქოლერას მძვინვარების პერიოდში, მდიდარმა მოსახლეობამ სამხრეთის უბნებიდან ქალაქის ამ ნაწილში დაიწყო გადმოსახლება.

„რეკოლეტას“ ცენტრში მდებარეობს პილარის ეკლესია, სასაფლაო და „რეკოლეტას“ კულტურული ცენტრი.

სასაფლაო ერთ-ერთ ტურისტულ სანახაობას წარმოადგენს. მდიდრულად შემკული აკლდამები, მართლაც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ევიტა პერონის საგვარეულო აკლდამაც ამ სასაფლაოზეა.

ქალაქის ამ ნაწილში მდებარეობს ასევე ხელოვნების ნაციონალური მუზეუმი და ნაციონალური ბიბლიოთეკა.

ნაციონალური ბიბლიოთეკის მონუმენტური ნაგებობა დიდი პარკის შუა გულშია აღმართული და გადმოყურებს „ავენიუ ლიბერტადორს“. ბიბლიოთეკის ადგილას ადრე პრეზიდენტის რეზიდენციის შენობა იდგა, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა ევა პერონი. არქიტექტორები არიან Clorindo Testa, Bullrich და Cazaniga. შენობის დაგეგმარება 1950 წელს დაიწყო, 1992 წელს კი საბოლოოდ დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა.

ბუენოს აირესის ყველაზე მდიდრული უბანი - Palermo Chico, 1912 წლიდან არსებობს. საელჩოების მონუმენტური ნაგებობები, განუუმეორებელი სილამაზის სუბტროპიკული მცენარეებით შემკული პარკები და მდიდრული სავაჭრო ცენტრები, მართლაც დიდ კონტრასტს ქმნის გარეუბნების უღარიბეს კვარტალებთან.

2001 წელს აშენებულ MALBA - Museo de Arte Latinoamericano de Buenos Aires მუზეუმში ლათინური ამერიკის ყველა გამოჩენილი ხელოვანის ნამუშევარია გამოფენილი: ბოტერო, ფრიდა კალო, ანტონიო ბერნი, ქსულ სოლარი.

თანამედროვე არქიტექტურა ნათლად არის წარმოდგენილი მდი-






ნარე რიო დე ლა პლატას ნაპირზე მდებარე ძველი ნავსადგურის ტერიტორიაზე. 1880 წელს დაიწყო ნავსადგურის მშენებლობა, რომელსაც ინჟინერ ედუარდო მადეროს პატივსაცემად Puerto Madero დაერქვა. უკვე 1910 წლისთვის ნავსადგური გაზრდილ კომერციულ მოთხოვნებს აღარ შეესაბამებოდა. ნავსადგური მიტოვებული იქნა და მის ჩრდილოეთ ნაწილში ახალი ნავსადგური აშენდა. 90-იანი წლების დასაწყისში „პუერტო მადეროსთვის“ შემუშავდა ახალი პროექტი საცხოვრებელი ბლოკებით, ოფისებით, საფეხმავლო ქუჩებით და სარეკრიაციო ზონით. მოხდა ძველი საწყობების რესტავრაცია. უამრავმა რესტორანმა და მაღაზიამ დაიწყო ბინა რესტავრირებულ ნაგებობებში. „პუერტო მადეროს“ განსაკუთრებულ ელფერს ესპანელი არქიტექტორის სანტიაგო კალატრავას მიერ დაპროექტებული ხიდი Puente de la Mujer - „ქალების ხიდი“ აძლევს.

და მაინც, ბუენოს აირესი, ეს არის არგენტინა, ტანგო, ევიტა პერონი და მაყალზე შემწვარი არგენტინული საქონლის ხორცი.

ეს მოკლე მიმოხილვა, ბუენოს აირესის შესახებ, ჩვენი ოჯახის 2007-2008 წ.წ. შობა-ახალ წლებზე არგენტინაში სამ კვირიანი მოგზაურობიდან დარჩენილი შთაბეჭდილებებია.

ფოტო მასალის საშუალებით კი შევეცადე, ჩვენი თვალთ დანახული, ეს მართლაც შთამბეჭდავი ქალაქი თვალნათელი გამეხადა.

ფოტოგრაფი: ლითაი ფვანანუშილის



Buenos Aires

Ketevan Odisheli - special correspondent from Berlin



Buenos Aires is not only the capital of Argentina, but also the cultural, economic and industrial centre of the country. One third of Argentine population (13 millions) resides in Buenos Aires.

The city with its classical colonist planning is spread along the bank of Rio de la Plata river.

As any big city, Buenos Aires is a very noisy, dusty and exciting place. Traffic is mostly unilateral and rather chaotic. Besides a score of light vehicles, there are up to 40000 taxis in the Buenos Aires. Taxi is not really expensive and serves as a major means of transport. Public transport is represented by bus and underground. The population is very friendly and open-hearted.

Apparent influence of Italian, Spanish and French architecture makes Buenos Aires look rather South-European, than South-American. Architecture of Buenos Aires features a considerable diversity of styles. Monumental buildings, decorated with turn-of-the-century Art-décor ornaments and sculptures account for the inimitable individuality of the city.

The centre of Buenos Aires is Plaza de Mayo. It is on this plaza that Government Hall – Casa Rosada (the Pink House) is located.

Plaza de Mayo and Plaza del Congreso are connected by Avenida de Mayo, the most impressive street of Buenos Aires. Of the architectural monuments, dating back to the 1920'ies, the most impressive is Barolo, built by architect Mario Palantini in 1922 and reported as the tallest construction in Buenos Aires at that time. The façade of Barolo is amply decorated with balustrades and mystical figures.

The crossing of Avenida 9 de Julio, the widest street in the world, and Avenida Corriente, features the obelisk, symbol of Buenos Aires. The obelisk, erected in 1930, marks the spot where the national flag of Argentina was first waved.

In Florida Street stands the tallest South-American skyscraper, dating back to the 1930'ies – Edificio Kavanagh. The construction was designed by architects Sanches, Lagos and de la Torres in 1934 and built in as little as two years. Edificio Kavanagh remained the tallest reinforced concrete construction of the world for quite a long time. Nowadays, Edificio Kavanagh, recognized as a historical monument, remains one of the most impressive architectural sights of Buenos Aires.

All the districts of Argentina capital have their own name and historical background.

San Telmo, located in the Southern part of the city, dates back to 1735. This place, considered as an exclusively aristocratic district until 1870, became a refuge of newly-arriving emigrants later on. In 1970, San Telmo was included into the Heritage Conservation fund.

Every Sunday, Dorego Square hosts a market of antiques, and the adjacent streets serve as open theatre stages to roving actors.

The main street of the multicoloured La Boca district is just 100 meters long. This street is named after Caminito – the famous tango

melody. As the saying has it, La Boca is the birthplace of tango. According to an idea of artist Benito Quinquela Martin, thin metal constructions of Caminito Street (painters' studios on the most part) were painted in different colours. Another distinguishing feature of La Boca is the Bonbonera – stadium of Boca Juniors Football Club.

Reconstruction of Recoleta District, the northern part of Buenos Aires, started in 1870, when the richer citizens started to move into this area from the southern parts of the city during cholera epidemics. The centre of Recoleta District is represented by Pilar Church, cemetery and Recoleta Cultural Centre.

The cemetery is one of the favourite tourist haunts. Richly decorated graves, including Evita Peron's family tomb, leave an indelible impression on the visitors. This part of the city also houses the National Museum of Art and National Library.

Monumental building of the National Library, stands in the middle of a large park and looks upon Avenida Libertador. The library was built on the site of the former presidential residence, where Eva Peron once lived and died, by architects Clorindo Testa, Bullrich and Casaniga. Design works started in 1950, while construction was fin-



ished and the Library was launched in 1992.

The richest district of Buenos Aires – Palermo Chico, was founded in 1912. Imposing embassies, unforgettable subtropical gardens and luxurious shopping centres stand in tangible contrast with the poor city outskirts.

MALBA – Museo de Arte Latinoamericano de Buenos Aires, built in 2001, exhibits the works of all the prominent Latin American artists: Botero, Frida Calo, Antonio Berni, Csul Solar.

Modern architecture is well represented in the old city port located on the bank of Rio de la Plata. Construction of the port, named Puerto Madero in honour of engineer Eduardo Madero, started in 1880. Already in 1910 the port failed to satisfy the increasing requirements of local commerce. The site was abandoned and a new port was built slightly northward. In early 1990'ies was created a new project on Puerto Madero redevelopment, implying construction of residential complexes, offices, pedestrian streets and a recreation zone. Old warehouses were overhauled into restaurants and shops. Special flair is endowed upon the district of Puerto Madero by Puente de la Mujer – Women's Bridge, designed by Spanish architect Santiago Calatrava.

In spite of all its diversity, Buenos Aires – this is Argentina, tango, Evita Peron and Argentine barbeque.

This brief overview of Buenos Aires reflects impressions of a three-week Christmas trip of our family to Argentina in 2007-2008.

By adding the photos, I tried my best to let you see this undoubtedly impressive city as lively as I saw it.

Photos by Dieter Fwanenstil





ზუსტად გათვლილი გადაწყვეტები



ბაქოს ცენტრში, მაღლივ საცხოვრებელ სახლში, რომელიც კასპიის ზღვას გადაჰყურებს, არქიტექტორ ელდენიზ სულეიმანოვის პროექტის მიხედვით, ერთ-ერთი, ჩვეულებრივი სტანდარტული ბინა ერთიან, თანამედროვე საცხოვრებელ სივრცედ გარდაიქმნა. მისი სტილური შემადგენელი სახე თანამედროვე პოლისის მცხოვრებთა ურბანისტული კომფორტის „ქალაქური“ თემის განვრცობაა, რომელიც პრიორიტეტთა შესაბამის სისტემას ასახავს: კომფორტის მაქსიმუმი, პროგრესის უკანასკნელი მიღწევები, დროის განსაკუთრებული ფასეულობა და ინფორმაციასთან უწყვეტი კავშირი. სტილისტური „კოორდინატთა სისტემა“ ინტერიერში ლაკონურ და ეფექტურ დეკორში, უახლეს აღჭურვილობაში, ფუნქციური, მობილური ავეჯის დიზაინში გამოვლინდება.

ინტერიერის თავისებურება - დეტალებამდე გათვლილი სივრცის ორგანიზებაა. უსარგებლო კედლების მოხსნით ავტორმა უარყო ტრადიციულად, საცხოვრებლის ოთახებად „დაჭრის“ მეთოდი. შედეგად, ინტერიერში დამატებითი ფართი გაჩნდა. ამრიგად წარმოიქმნილმა ერთიანმა საცხოვრებელმა ზონამ გააფართოვა მანევრირების სივრცე და მოცემულ ფართობზე ფუნქციათა მაქსიმუმის კონცენტრირება გახდა შესაძლებელი. მისაღები, სამზარეულო ზონა, ნაწილობრივ საძინებელი ერთიანად აღიქმება და ნებისმიერი რაკურსიდან საინტერიერს, ღია და თავისუფალია.

ავტორის ძალისხმევით, აღქმადი ლაკონიზმით შენიღბული, ზუსტად გათვლილი გადაწყვეტების ფონზე, სტილური ინტერიერი შეიქმნა და იგი სრულიად შეესაბამება მის მფლობელთა ყოფა-ცხოვრების თანმიმდევრობას.

ნინო ლალიძე







Pin-Point Solutions

A standard apartment in a high-rise located in downtown Baku and overlooking the Caspian Sea was transformed into a modern, integral living space according to a project by architect Eldeniz Suleimanov. Its stylistic image is an interpretation of present-day urban lifestyle theme with a relevant system of priorities: maximal comfort, advanced technologies, value of time and permanent information flow. Stylistic "system of coordinates" reveals itself in laconic and efficient décor, up-to-date equipment and mobile furniture design.

Distinguishing feature of this interior is the meticulously calculated space structure. By removing unnecessary partitions, the author defied the traditional method of "slicing" the apartment into rooms. The resulting integral residential zone increased the maneuvering space and enabled efficient distribution of functions. The guest, kitchen and sleeping areas are perceived as a unity and look equally interesting, open and free-flowing from any vantage point.

Based on precise, pin-point design solutions, the author succeeded in creating a stylish interior, fully conforming to the lifestyle of its dwellers.

NINO LAGHIDZE







სიქიტეჟი მახინო ჰეჰოზი

არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიუანსები

არქიტექტურის აღქმა, პირველ რიგში ესთეტიკურ სიამოვნებას უნდა წარმოქმნიდეს, რასაც გეგმარებითი ჩანაფიქრის მოცულობითობა, ობიექტისათვის ზუსტი ადგილის შერჩევა, კომპოზიციის სივრცობრივი წყობა, ტექნიკისა და ნაგებობის ფუნქციური სტრუქტურის ახალი, პროგრესული სინქრონი განაპირობებს.

ნათქვამი ზედმიწევნით მიესადაგება, ამჯერად წარმოდგენილ, არქიტექტორ მარტინო პედროზის პროექტებით შვეიცარიაში განხორციელებული ობიექტების - სახლი პრეგასონაში – 2005 წ. ლუგანო (შვეიცარია).

ქოზი – 2002 წ. – მალვალია (შვეიცარია). ნანგრევები – 2000 წ. – მალვალია (შვეიცარია) არქიტექტურულ-მოცულობით თუ გეგმარებით გადანწყვეტას.

ცალკეულ შემთხვევაში, მათი მკაფიო სტრუქტურის მქონე ერთიანი ორგანიზმი გარემომცველი, კონკრეტული განაშენიანების დომინანტია, მთელ სივრცეს კრავს და ამავე დროს თითქოს მასთანაა დაპირისპირებული. შენობათა ფორმა თავიანთ ფუნქციას არა იმდენად განახორციელებს, რამდენადაც გამოხატავს და მის შესახებ ავტორის სატოვან წარმოსახვას იძლევა. ექსტერიერი თავიანთი მოცულობითი დიზაინი, ნაგებობის დანიშნულების სპეციფიკურობის აღქმას აძლიერებს და ჰაეროვნებას მატებს შიდა ვრცელ, დახურულ თუ ღია მოცულობებს.

მოცულობის წარმოჩენის თავისებური, პროფესიული ხედვა ნაგებობათა მთლიანობის, მოქნილი სილუეტის განმსაზღვრელია. არქიტექტურული მასები თავიანთი პარამეტრებით, პროპორციული წყობით მთლიან მოცულობას განსაკუთრებულ გამომხატველობას ანიჭებენ.

Important Aspects of Architecture

Perception of an architectural construction, its aesthetical value firstly depend on the scale of planning solution, selection of the site, spatial composition, innovative, progressive integrity of technique and functional structure.

The above fully describes architectural and planning solution of the following projects by architect Martino Pedrozzi, recently realized in Switzerland: HOUSE IN PREGASSONA – 2005 – Lugano; HUT – 2002 – Malvaglia; RUIN – 2000 – Malvaglia.

Each project dominates over the surrounding architectural background and integrates it, at the same time, standing out to form a landmark. Bulky but flexible exterior shapes not so much correspond to the purpose of this or that building as provide their artistic interpretation, highlight their function and render them even more expressive. Architectural masses with their dimensions and proportional positioning add special eloquence to construction volumes in general.

HUT – 2002 – Malvaglia (Switzerland)

Fragile dry stone huts like these used to be stables and were constantly maintained in good shape. Today they are no longer used and generally fall into ruins.

During some recent reparations works the eaves are eliminated and the carpentry, visible on the facade between the side walls and the roof, is hidden, turning the building into a monolithic non tectonic object.



სტილი №26. 2008


HOUSE IN PREGASSONA – 2005 – Lugano (Switzerland)

The project concerns the renovation of an ancient farmer house in a village centre near Lugano, build on several steps during the last centuries (the most ancient parts go back to medieval times).

A contemporary unique character is given to the


whole building in order to avoid the banal contrast between Old (what exist) and Modern (new intervention). The process of renewal starts demolishing all damaged parts as wooden slabs and carpentry, leaving only the thick structural stone walls (easily recognizable on the floor

plans and on the model of structure). New slabs are put at variable levels to enable a direct movement between the rooms in both plan and section, transforming the original building, based on the superposition of three repeated floors, on a unique entity.



RUIN – 2000 – Malvaglia (Switzerland)

The stones of a ruined hut have been moved inside the rests of the walls.




Architect Martino Pedrozzi

BIOGRAPHY

Lecturer at the Academy of architecture of Mendrisio, Switzerland. Graduated in 1996 at the Federal Polytechnic of Lausanne, has an architectural practice in Lugano. In 1999 he works two months in Rio de Janeiro with Oscar Niemeyer. His works are mentioned for the 1999 and the 2006 editions of the international prize "Contemporary Alpine Architecture". Since 2003 he is the director of the WISH (Workshop on International Social Housing), the Summer School pro-

gramme of the Academy of Architecture of Mendrisio. In 2007 he has been Visiting Professor at the IUSS (Institute for Advanced Studies) in Pavia, Italy. He was invited as Guest Critic at the Federal Polytechnic of Lausanne and at the Kent State University (Ohio, USA). He gave public lectures in the universities of Tucumán, Argentina; Mexicali, Mexico; Nanjing, China; Johannesburg, South Africa; Al Ain, United Arab Emirates and Geneva, Switzerland. His work has been published in swiss and international magazines.





A Letter from London

I am neither a designer nor an architect. I just have my own vision of the space. What I have to tell you will hopefully become more interesting if I try to speak with simple words, without any high-flown notions or technical terms.

We, humans, are usually most knowledgeable in the things we use in our lives. The words "I know" are just words, not more. I try to follow this principle; this is why I told you I am not an architect – I still have too much to prove to myself.

Since the moment I first got interested in this sphere and started to get relevant education, I have been seeing more and more proofs to the fact that architecture does not have limits. Every day one sees and creates something totally new, and this process goes on endlessly, until one has found what he was looking for.

However profitable, this is just an illness. Speaking about profits, I cannot refrain from saying that what the Georgian architects do for the minimal compensation, costs a great deal more in the developed countries, while even the sketches made by Georgians are often better than the works of the world's leading architects.






I, a novice to this sphere, would like to show you two projects by myself and Anna Svanidze, my wife, which were realized on the roofs of London high-rises.

An architect usually starts designing from the ground, but not being an architect I did not feel myself constrained by this rule.

Space is equally valuable everywhere – even in Georgia (though here, as different from the UK capital, it costs very little). The majority of densely built apartment blocks in the newer districts of London are

devoid of space. It is already twice that I encountered this issue in my activities – imagine a 35 sq. m. morsel of space on the 23rd floor with a concrete floor, surrounded by blind walls and only opening up onto the sky and its owner wishing to arrange a garden there. When I first got such an assignment I remembered how when buying a villa in Tsavkisi I naively wished that my 10000 sq. m. courtyard was 5000 sq. m. larger. One could only laugh at this reminiscence when facing a task of designing a garden on the 23rd floor with an area of 35 sq. m. looking onto the blue sky at one's disposal. In other words, impossible is nothing... I doubt that my solution is perfect, but this was the only thing I could think of...

And my last message: take care of your space.
VAKHTANG NIKOLAVA





ძენი

ისტორია - ძენი

ძენი ანუ ბუდისტური მიმართულება ფოსინ ცძუნი („ბუდას გული“) მოიცავს რიგ სპეციფიურ თავისებურებებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ნირვანის მიღწევის რწმენა და ძალისხმევაა.

ძენი მოიცავს სიმშვიდეს და ნირვანას..

ჩანს ფინჯანი...

მეიძინის ხანაში (1868-1912წწ.) მცხოვრები ძენის იაპონელი მასწავლებელი ნან-ინი, მასპინძლობდა ამერიკული უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროფესორს, რომელსაც სურდა ძენის არსს ჩასწვდომოდა. ნან-ინმა იგი ჩაიზე დაპატიჟა. სუფრასთან საუბრისას, მასპინძელი სტუმრის ფინჯანის ჩაით ავსებას შეუდგა. სითხემ გაავსო ჭურჭელი, მაგრამ მიუხედავად ამისა ნან-ინი განაგრძობდა დასხმას, სასმელი კი იღვრებოდა. პროფესორი გაოცებული შეჰყურებდა მის ქმედებას, ბოლოს ველარ მოითმინა: „ფინჯანი, ხომ სავსეა, ის მეტს ვერ იტევს!“

- „, ისევე, როგორც ეს ფინჯანი“, - თქვა ნან-ინმა, - „თქვენც სავსე ხართ თქვენული შეხედულებებით და განსჯებით. როგორ შევძლებ დაგანახოთ ძენი, თუ არ დაცლით თქვენს „ფინჯანს?“ .

ძენი-ბუდიზმი უარყოფს ინტელექტის პრივილეგიას სუფთა ადამიანურ გამოცდილებაზე და ამ უკანასკნელს, ინტუიციასთან ალიანსში, გასხვიოსნების („სატორი“) - მოვლენათა ჭეშმარიტი არსის აღქმის მიღწევის სურვილის მქონე ადამიანის ერთგულ თანაშემწედ თვლის.





თბილისში შარდენზე, „პროგრეს ჯგუფის ქსელი“ აღმოსავლური ბარი „ძენი“ გაიხსნა. მისი, ორ დონეზე განთავსებული ინტერიერი არქიტექტორ გოგა ჩხეტიას პროექტით განხორციელდა. ერთიან სივრცეში ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული ფრაგმენტების დეკორატიული კომპოზიციები, სხვადასხვა აქსესუარების ფორმა, ფერი და ა.შ. გამჭვირვალებას და სიმსუბუქეს, ორიგინალური კოლორისტული გადანაცვება უდევს საფუძვლად. მთლიანი პალიტრა ოპტიმალურ ფონს უქმნის ნებისმიერ საგანს, გამოკვეთს მის მოცულობას. ეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - ინტერიერში ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და სკულპტურული ხასიათის მატარებელია. გამოყენებულ მასალათა ფაქტურების ზედაპირებზე სინათლის ათინათი ინტერიერისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ იდეას, უფრო მეტად აქცენტირებს. საერთო გამჭვირვალებაში შეჭრილი ხაზები და პარალელები, დინამიკური სიმრუდეები მაორიენტირებელ მონახაზებსა და სილუეტებს ქმნიან. დიზაინერული მელოდია, მისი რითმის ცვლითა და შესაბამისი ნოტების რეგისტრის გაძლიერებითაა აგებული... ZEN მოიცავს ნირვანას...

ნინო ლალიძე

ფოტო: მარი ნაპანი





ZEN

A CUP OF TEA...

Zen – a school of Mahayana Buddhism, containing a number of specific features, the most important of which is the desire of reaching nirvana – the state of peace and enlightenment.

Japanese Zen master Nan-Jin of Meiji period (1868-1912) once visited an American professor, who wished to perceive the essence of Zen. Nan-Jin invited him to a cup of tea. While talking at a table, he started to fill the professor's cup with tea. The tea filled the cup,

but Nan-Jin continued pouring and let the drink spill over. The professor looked at him in surprise and finally lost his patience: "The cup is full, it can hold no more".

"Just like this cup," – replied Nan-Jin, - "you are filled with your own ideas and judgments. How can I let you see Zen, if you don't empty your "cup"?"



Zen Buddhism denies the importance of human experience and considers pure intellect and intuition as faithful guides of a man on his way to understanding the true nature of existence and reaching the state of enlightenment (satori).

Oriental bar Zen was recently opened by Progress Group Network in Chardin Street, Tbilisi. The interior of

this two-level public space was designed by architect Goga Chkhetia. The integral space attracts attention by decorative compositions of architectural elements, shape and color of accessories, transparency and lightness of design solutions. The original color palette provides an optimal background for any item and highlights its sculptural nature. Graphical precision of interior is further accen-

tuated by quaint glinting of light on upholstery and finishing materials, lines and parallels, dynamically merging into patterns and silhouettes. The design flows as a melody with changeable rhythm and a perfect sequence of motives, leading to Zen, to nirvana.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY MARI NAKANI







მხატვრული, ახლობელი

პატარა მყუდრო კაფე-ბარი „პურ-პურ“, თბილისის ერთ-ერთ უმშვენიერეს ისტორიულ უბანში, გუდიაშვილის ბაღთან, აბო თბილელის ქუჩაზე მდებარეობს. მისი ინტერიერი და მიმდებარე ბაღის დეკორატიული ლობერი, მხატვრულად გუგა კოტეტიშვილმა გააფორმა.

მხატვარ-დიზაინერმა, თემატური სცენარით შინა-არსობლივად ღრმა და შთამბეჭდავი კომპოზიცია შექმნა, სადაც სივრცის მთლიანობას მოდულური ელემენტების ერთობლიობა ქმნის.

ინტერიერში დროის ვიზუალური სტილისტიკისა და კულტურულ-მხატვრული ენის ელემენტებია შეტანილი. აქ, დეკორაციები, შემოქმედებითად ძალზე მხატვრული, ახლობელი და განსაკუთრებულად თბილია. თვითმყოფადობის ატმოსფეროს უამრავი საგანი, აქსესუარი და ტონალობათა არეალი განსაზღვრავს. ყო-




ველივეს თავისი ალაგი აქვს მიჩენილი და ზუსტად მაშინ ჩნდება პირველ პლანზე, როცა მნახველი მოისურვებს. შედისარ ამ სამყაროში, სურვილისამებრ ირჩევს შენთვის მყუდრო მონაკვეთს და ებმება თამაშში, რომელშიც დამკვირვებელიც ხარ და მისი ერთ-ერთი მონაწილეც.

ავტორის მიერ გათვლილია ყოველი თითქოს შემთხვევითი დეტალი და ნიუანსი. ფორმით, ფერით, და ინფორმაციით დატვირთული დეკორაციები ჰარმონიულია სივრცით გადაწყვეტასთან, რომელიც მხატვრული ავანგარდისა და ინტელექტუალური აურიითაა გაჟღერებული. და დამეთანხმებით, გუგა კოტეტიშვილის, ამჯერად წარმოდგენილი, შემოქმედებითი ფრაგმენტი პროფესიონალიზმის მაღალი გამოვლინებაა.

ნინო ლალიძე

ფოტო: ბუბა სვიმონიშვილი











Artistic and Appealing

The small cozy café-bar Pur-Pur is located in a beautiful historical district of Tbilisi, in Abo Tbileli Street, near Gudiashvili Garden. Interior of the café and decorative fencing, separating it from the Garden, has been designed by Guga Kotetishvili.

Artist-designer created a thematic composition with deep content, integrating a multitude of modular elements.



The interior is based on visual stylistics as well as certain cultural and artistic implications. The design overall is highly creative and appealing. Originality of the atmosphere is highlighted by coloring effects and an array of carefully positioned decorative articles and accessories. The diversity of this little world has a surprising power of making everyone feel perfectly at home.

The author has carefully considered every seem-



ingly accidental detail. Decorations with their meaningful form, color and connotation are in full harmony with space planning, saturated with an aura of artistic vanguard and intellect. You will agree that by this work Guga Kotetishvili has once more expressed his high professionalism.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY BUBA SVIMONISHVILI



სტილისტური მთლიანობა

არქიტექტორების ირაკლი ლაზარიაშვილის და გოგა ხვიტიას პროექტით, სულ ახლახანს, ძველ თბილისში, შარდენზე, კაფე-ბარი „ვაკანდა“ გაიხსნა.

„ვაკანდა“ თითქმის გარე სამყაროშია შეჭრილი - შემინული დიდი სიბრტყეებით შიდა სივრცეები მთლიანად იხსნება და ქუჩასთან აბსოლუტურ სინქრონიში მოდის. ინტერიერის არქიტექტონიკა დახვეწილია და მის ალქმას კომპოზიციისა და პირობითობის სხვადასხვა ხარისხის თანაარსებობა ამძაფრებს. სივრცის დადებითი „ეკოლოგია“ მასში მოხვედრისთანავე შეიგრძნობა.

არსებული არასახარბიელო პროპორციების შეცვლა ავტორებმა საკუთარი პროფესი-

ული ინტუიციის არსებულ პირობებთან ადაფტირებით შეძლეს. ინტერიერის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გადანწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, მოცულობით-პლასტიკური გადანწყვეტებით, ხაზებისა და ფიგურების დიალოგებითა და დიზაინერული რეფერენებითაა მიღწეული. დიზაინის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კედელზე შესრულებული ფერნერული კომპოზიციები, რომელთა ავტორი ფირმა „ზარაფხანას“ მხატვარი მარიამ ტყეშელაშვილი გახლავთ.

მიუხედავად სტილისტიკური მთლიანობისა, სივრცის ყოველი მონაკვეთის ინდივიდუ-

ალურობა შენარჩუნებულია. დეკორის ფერისა და ფაქტურის მონაცვლეობა, მათზე მხედველობის კონცენტრირებას ახდენს. ხელოვნური განათების სხვადასხვა ინტენსივობა კი ხაზს უსვამს ფორმისა და ფერის სიღრმეს.

პროფესიონალიზმი ყოველთვის დეტალებში გამოვლინდება. მოცემულ გარემოში იგი იგრძნობა ყველგან - მასალის ფაქტურაში, აქსესუარებში, ავტორთა ჩანაფიქრის საბოლოოდ სრულყოფისათვის შერჩეულ ნიუანსებში, რომელთა ალიანსით, ხისტი სივრცე ჰარმონიულ მთლიანობად - საინტერესო, ვრცელ დეკორატიულ პანოდ გარდაიქმნა.


ნინო ლაღიძე

ფოტო: დიმიტრი ლომიძე









Stylistic Integrity

Café-bar Vacanda, recently opened in Chardin Street, in old Tbilisi, has been designed by architects Irakli Lazarashvili and Goga Khvitia.



Vacanda is almost entirely open to the outer world – large glazed surfaces successfully synchronize it with the adjacent street surroundings. Refined architectonics of the interior integrates several compositional and conventional layers, highlighting originality of the design. The first impression one feels upon entering the café is the positive ecology of the interior space.


The authors skillfully adapted unfavorable proportions of the interior to the new requirements. Impression of integrity is achieved by a unified compositional solution, soft transition of decorations and colors from zone to zone and from surface to surface, an intricate system of spatial solutions, dialogues and refrains of lines and shapes. Important components of the interior are wall paintings by Mariam Tkeshelashvili of Zarakphana Company.

Stylistic integrity does not subdue originality of different sections of the interior, highlighted by distinctive colors and textures. Varying intensity of artificial lighting further accentuates the depth of form and color.

Professionalism is best revealed in the approach toward minor details. In this particular instance, this feature is present everywhere – in the choice of textures, accessories, decorative ornaments, highlighting the general design theme, which come together to transform the space into a harmonious interior, opening up before the visitor's eyes as an interesting, vast decorative panel.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY DIMITRI LOMIDZE








დიზაინერული კოლაჟი

თანამედროვე ინტერიერი, მისი დიზაინი და არქიტექტორთა მიერ მასში წარმოქმნილი, თემატური სცენარით შექმნილი ატმოსფერო, რთული, შრომატევადი, შემოქმედებითი გზის შედეგია.

არქიტექტორების ირაკლი ლაზარი-აშვილის და გოგა ხვიტიას პროექტით შექმნილი მაღაზია სალონის „DRESS CODE“-ს საზოგადოებრივი გარემო, მისი შემადგენელი მობილური ელემენტების ურთიერთპარამონიულობით, ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმია. გახსნილი სივრცე ერთიანად აღიქმება, თუმცა მასში ყოველი ცალკეული ელემენტი ერთგვარად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია. მათი ლავირება შეუმჩნეველი ნიუანსებით წარმოებს. ინტერიერის თოთოეული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე თამამი, არაორდინალური დეკორაციაა, დიზაინერული კოლაჟია. მათი კომპოზიციური წყობა, ტონალობა, ფურნიტურასთან, აქსესუარებთან სინქრონი, სრულყოფილების შეგრძნებას ბადებს.

ნინო ლალია

ფოტო: დიმიტრი ლომიძე










Design Collage


Creation of modern interior design with a thematic atmosphere and distinctive individuality is a complex, meticulous task, requiring a great deal of professionalism.

Public space of DRESS CODE Shop, designed by architects Irakli Lazariashvili and Goga Khvitia, represents an integral, live organism, consisting of harmoniously matched mobile units. The open space is perceived as a unity, nonetheless consisting of self-impor-

tant and original elements, integrated by a carefully considered and unobtrusive structure of minor details. Each horizontal or vertical surface of the interior is an ordinary decoration, a part of design collage. Their compositional structure, tonality, matching with furniture and accessories evoke the feeling of perfection.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY DIMITRI LOMIDZE







ტიფლის თაუნი




შარდენი - მეიდან - რკინის რიგი.

თებერვლის დასაწყისში აქ ლუდის პაბი-რესტორანი, „ტიფლის თაუნი“ გაიხსნა. პაბის ინტერიერი არქიტექტორ დიმიტრი თოფურაძის პროექტით შესრულდა. ავტორის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი გარემო გამჭოლი ხედების ალიანსია. დახვეწილი დიზაინერული გადასვლებით, მასში პლასტიური ერთიანობაა მიღწეული, რომელიც მუდმივად იცვლება. მოქნილი ფორმები, ფერთა გამა და გამოყენებული მასალის სილამაზე, პაბის განსაკუთრებულ სიბლეს მატებს. ცალკეული „მონაკვეთის“ კონფიგურაცია, პროპორციები და დიზაინი კომპოზიციური მთლიანობის გამსაზღვრელია. გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების ფონზე ავტორი საინტერესოდ ორგანიზებულ კომპაქტურ კომპოზიციას ქმნის, რომელიც ორგინალური არქიტექტურული მიგნებებით და თვითმყოფადობით გამოირჩევა.

ნინო ლარიძე






Tiflis Town

Chardin - Meidani - Rkinis Rigi (Iron Row)

A new beer pub titled Tiflis Town was opened here in early February.

Pub interior was designed by architect Dimitri Topuridze. This public space represents an alliance of transparent vistas. Refined design transitions provide an effect of flexible, constantly changing unity. Plastic forms, exquisite coloring and beautiful choice of textures endows the pub with special charm. Configuration, proportions and design of various sections defines thematic integrity of the interior. The author has created a well-organized, compact composition, featuring unusual architectural solutions and original atmosphere.

NINO LAGHIDZE





ინტერიერული დომინანტი

თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, მალაზია-სალონის „ელექტრონიკის“ ინტერიერი დიზაინერების - ნია მაგალობლიშვილის, სოფიო შევარდნაძისა და ია ლიპარტელიანის პროექტით განხორციელდა.

საერთო სივრცის გონივრულად დაცული ზონირებით, როგორც საოფისე, ასევე საზოგადოებრივ მონაკვეთებში, ჰორიზონტალში მი-

ნიშუმამდგა დასული „გზების“ გადაკვეთა. შესვლისთანავე შეიგრძნობთ, რომ ინტერიერი ფერითი და სივრცითი გადაწყვეტით აქტიური და ლოკალურია, რაც მისი იერსახის განმსაზღვრელია. დიზაინში ავტორებისათვის დამახასიათებელი მანერა, სტილი, თვალსაჩინო პირობითობა, მთლიანი სივრცის ორიგინალური კომპოზიცია, ნათლად გამოიკვეთება. ინტერიერში ლოკალურ ფერთა კონტრასტი

დომინირებს. მოცემული თემატიკა გულდასმითაა დამუშავებული და ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. მასში წამყვანი დომინანტი, ელემენტების გადანაწილება, დიზაინერული ხერხებით ოსტატურადაა შესრულებული, რაც მეტად სასიამოვნო, კომფორტულ გარემოს ქმნის.

ნინო ლალიძე

ფოტო: ირაკლი ალუიშვილი





Interior Dominant

Interior of Elit Electronics showroom, located in Kazbegi Avenue, Tbilisi, has been created by designers Nia Mgaloblishvili, Sophie Shevardnadze and Ia Liparteliani.

Reasonable zoning of the interior space allows for minimal overlapping between office and public areas. Coloring and spatial solutions are active and localized, defining the image of the showroom. The design efficiently reveals the authors' manner and style as well as original composition of the space. The dominating element of interior design is the contrast of local colors. Thorough development and original solution of the general theme, masterful distribution of design dominants create a really pleasant, comfortable environment.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: IRAKLI BLUISHVILI





გალერეა შარდენი

ხელოვნების გალერეა „შარდენი“ 1998 წელს დაარსდა. მისი დამფუძნებლები, ხელოვნებათმცოდნეები - მაია ნოზაძე, ია დვალი და სათუნა ჩხეიძე არიან. გალერეის პირველნათლობა ძველ თბილისში, შარდენზე შედგა. შემდგომ, იქვე, ლესელიძის ქუჩაზე განაგრძო ფუნქციონირება, თუმცა ექსპოზიციის წარმოსაჩენად სივრცე კომფორტს მაინც მოკლებული იყო და აი, გასული წლის ივლისის თვეში, რუსთაველის გამზირზე, სასტუმრო „თბილისის მერიოტის“ სივრცეში, განახლებულ დარბაზში გალერეა „შარდენის“ გახსნის პრეზენტაცია ჩატარდა.

გალერეის განახლებული ინტერიერი სამ საგამოფენო სივრცეს მოიცავს. მისი დიზაინი თუ ტექნიკური აღჭურვილობა მაქსიმალურად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა კომფორტულ, მყუდრო გარემოში გაეცნოს აქ წარმოდგენილ ხელოვნების ნაწარმოებებს - თანამედროვე თუ კლასიკოს მხატვართა ნამუშევრებს, მინანქრის მუდმივმოქმედ ექსპოზიციას, დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღოს მისთვის საინტერესო შემოქმედის ან ნამუშევრის შესახებ.

განახლებული „შარდენის“ გახსნის პრეზენტაციას, ახალი ექსპოზიციის წარმოჩენა დაერთო, რომელიც მხატვარ მერაბ აბრამიშვილის გარდაცვალების ერთი წლის თავს მიეძღვნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნამუშევრები როგორც კერძო ასევე მხატვრის ოჯახის კოლექციიდან.

„შარდენი“ მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს - დილის თორმეტი საათიდან საღამოს ათ საათამდე, ყოველდღე. იგი მრავალი საერთაშორისო პროექტის ავტორია და სამომავლოდაც კვლავ საინტერესო სიახლეებს წარმოუდგენს საზგადოებას.

ნინო ლალიძა





Chardin Gallery

Chardin Art Gallery was founded in 1998 by art historians Maia Nozadze, Ia Dvali and Khatuna Chkheidze. Presentation of the gallery took place in Chardin Street, in old Tbilisi. Later on, the establishment continued functioning nearby, in Leselidze Street, though the space was not sufficiently convenient for art expositions and finally in June 2007 the gallery moved to the refurbished exhibition area of Marriott Tbilisi Hotel.

The new gallery consists of three exhibition halls. Its design and technical equipment maximally conforms to the present-day requirements. Visitors can study the exhibits – works of modern and classical painters and a permanent exposition of enamel, - and get information on this or that work of art or its author with maximal comfort.

Launching of renewed Chardin Gallery coincided with opening of a new exposition, dedicated to the anniversary of death of painter Merab Abramishvili. This exhibition featured works of the painter, belonging to his family and various private collections.

Chardin Gallery works with maximal intensity – from 12 p.m. to 10 p.m. all through the week. It operates numerous international projects and intends to offer the Georgian public a lot of interesting novelties in the nearest future.

NINO LAGHIDZE



გომ Art ელი



თბილისში, მეტეხის ქუჩაზე, ცნობილი ქართველი მომღერლის დათო გომართელის არტ-კლუბი - გომ ART ელი გაიხსნა. კლუბში ცხოვრება ლამის ათ საათზე იწყება და მხოლოდ ბოლო სტუმრის წასვლის შემდგომ წყდება. აქ თქვენ გელოდებით სასიამოვნო გარემო, გემოვნებიანი მუსიკა - მოსამხრის სიმღერებს ცნობილი მომღერლების შესრულებით (დ. გომართელი, მ. სეფაშვილი, ჯგუფი „ფორტე“, ტონი ომეილი და სხვები), დიჯეი შემოგთავაზებთ ცნობილ ჰიტებს. ნუ დაიოკებთ მოზღვავებულ ენერჯის და იცეკვეთ დილაამდე.

არტ-კლუბის ინტერიერი დათო გომართელისა

და არქიტექტორ ირინე კაჭარავას შემოქმედებითი ალიანსის შედეგად განხორციელდა. არქიტექტორმა, ინტერიერში დასამახსოვრებელი დიზაინერული ნიუანსებით არაორდინალური, დანიშნულების შესაბამისი გარემო შექმნა, რაც კლუბის ინდივიდუალურობის წარმოსაჩენად მეტად მნიშვნელოვანია. მოცულობის მთლიანი სახე სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულოდნელობებზეა აგებული.

ერთიანი სივრცის შთაბეჭდილება კომპოზიციის დინამიზმით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორით, მოცულობით-სივრცობრივი გადანწყვებების რითმებითაა მიღწეული. დიზაინის ლაკონურ ფე-

რითგრაფიკულ გადანწყვებში დახვეწილი გემოვნება და ზომიერება ჩანს. ადვილად წარმოსადგენია, რა არაჩვეულებრივად სასიამოვნო იქნება არტ-კლუბის პრეზენტაბელურ, მაგრამ უდაოდ მყუდრო და

კომფორტულ გარემოში დაუვიწყარი სადღესასწაულო პრეზენტაციების ჩატარება ან უბრალოდ, მეგობრებთან ერთად თავშეყრა და გართობა.

კლუბში სტუმრობა ნამდვილად ღირს. ძალიან კმაყოფილი დარჩებით და შეიძლება ძალიან მალე კლუბის წევრიც გახდეთ.

მომზადდა ნინო ლალიძემ



Gom-ART-Eli – Art-club of popular Georgian singer David Gomarteli was recently launched in Metekhi Street, Tbilisi. The club opens its doors to the public at 10 p.m. and closes down only after its last guest goes home. Here you will be able to enjoy a pleasant environment and tasteful music – live performances by David Gomarteli, Merab Sepashvili, Forte Group, etc. – and an boundless choice of musical hits offered by a DJ.

Interior of the art-club was designed jointly by Dato Gomarteli and architect Irine Kacharava. The architect enriched the interior with remarkable design nuances and molded it into a function-specific environment, which is really important for highlighting individuality of a club.



The impression of integrity is achieved by dynamism of the composition, smooth transition of décor motives from zone to zone, and the rhythmical beat of spatial and volumetric solutions. Terse coloring and graphical structure of interior reveals refined taste and moderation.

Imposing but comfortable and relaxing atmosphere of the art-club is perfect for arranging a festive presentation or just passing an evening with friends.

The club is really worth visiting. You will surely have a good time there and will probably think of becoming a member of the club.

PREPARED BY NINO LAGHIDZE

Gom Art Eli





ქარიმ რაშიდი გადასცემს ჯილდოებს დუბაელ სტუდენტებს

საერთაშორისო აღიარების მქონე დიზაინერმა ქარიმ რაშიდმა, "The Hotel Show"-ს ხელმძღვანელმა, გამოიწვია დრო, რათა გადაეცა ჯილდოები ავეჯის დიზაინის სტუდენტური კონკურსის გამარჯვებულთათვის.

ნიუ-იორკში მოღვაწე ბატონმა ქარიმ რაშიდმა, რომელსაც 2000-ზე მეტი ინტერიერის დიზაინი აქვს შექმნილი, გადასცა 2500 აშშ დოლარის ოდენობის პრიზი, ინტერიერის პროფესიონალ დიზაინერთა ასოციაციის (AIPD-ის) მიერ გამართული კონკურსის პირველადგილოსანს, დუბაის ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტს – სოფო ახვლედიანს.

ქართველი სტუდენტის სოფო ახვლედიანის დიზაინით შექმნილი ნივთები შეიძლება დამზადდეს მასობრივად 3-5-ვარსკვლავიანი სასტუმროებისთვის. კონკურსის ფიურში, რომელშიც შედიოდნენ კენ ლიდლერი (AIPD), ქრის ლი (InterContinental Hotels) და გაი რუკერტი ("Gulf Interiors"-ის რედაქტორი), შეარჩია გამარჯვებული პროექტი ინოვაციის, პრაქტიკულობის, მოთხოვნებისადმი შესაბამისობის, ეკონომიკური ეფექტურობის ფაქტორების გათვალისწინებით.

"უკვე 10 წელია პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი და ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია ეს სტუდენტებისთვის. ამ პროექტის ავტორმა ძალიან სერიოზულად იმუშავა".

მეორე ადგილოსანმა, ასევე დუბაის ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტმა საჰარ მოტაპარიმ, 1500 აშშ დოლარი მიიღო ჯილდოდ. მესამე ადგილი (500-500 აშშ დოლარი და საპატიო დიპლომი თითოს) გაინაწილეს – ალია ალ ააბრიმ (შარჯას ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტი) და ნეელანჩანა სობჰაკუმარმა (მანიპალის უნივერსიტეტი).

"The Hotel Show"-ს პროექტის დირექტორის მეგი მურის განცხადებით, ქარიმ რაშიდი, როგორც საერთაშორისო დონის დიზაინერი, სამაგალითოა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სტუდენტის დიზაინერებისთვის. იგი ამჟამად მუშაობს 85 პროექტზე 30 ქვეყანაში, მისი ნამუშევრები უდიდესი მოთხოვნილებით სარგებლობს. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ "The Hotel Show"-მ მოახერხა გამოენახა დრო და ყურადღება კონკურსის გამარჯვებულთათვის.

2006 წელს, AIPD-ის ავეჯის დიზაინის ყოველწლიური სტუდენტური კონკურსის სპონსორები იყვნენ "Intercontinental Hotels", "Fluid Production" და "The Hotel Show".

AIPD-ის (ინტერიერის პროფესიონალ დიზაინერთა ასოციაცია) შესახებ:

AIPD-ის მიზანს წარმოადგენს სპარსეთის ყურის რეგიონში მოღვაწე პროფესიონალი ინტერიერის დიზაინერების წარმოჩინება.

ეს ასოციაცია ახდენს ინტერიერის პროფესიონალური დიზაინის პოპულარიზაციას პოტენციურ კლიენტებს შორის - სამთავრობო თუ კერძო სექტორში, საქმიანი წრეებში და ფართო საზოგადოებრიობაში.

ინტერიერის პროფესიონალ დიზაინერთა ასოციაცია მოქმედებს როგორც სრულფასოვანი წარმომადგენლობითი ორგანიზაცია და აქტიურ მონაწილეობას იღებს ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონის ღონისძიებებსა და პროცესებში. AIPD-ი ამ სახის პირველი ორგანიზაციაა სპარსეთის ყურეში.

AIPD-ი გეგმავს ფხის მოკიდებას შუა აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში. მისი მიზანია კონფერენციების, სემინარების, გამოფენებისა და კონკურსების მეშვეობით დიზაინერებისთვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების საფუძვლის შექმნა. AIPD-ი ხელს უწყობს საქმიანი კავშირების გაბმას, რაც საშუალებას მისცემს ასოციაციის წევრებს გაიფართოვონ პროფესიონალური პერსპექტივები კოლეგებთან ურთიერთობით და უზრუნველყოფს დიზაინის სფეროს



Karim Rashid presents Dubai student design awards

Internationally-acclaimed designer Karim Rashid took time out from The Hotel Show in Dubai to present furniture design awards to the winners of a student competition.

'New York-based Rashid, who has had more than 2,000 designs put into production, presented the first prize of US\$2,500 in the Association of Professional Interior Designers (APID) competition to Sophie Akhvediani, of the American University of Dubai (AUD).

Sophie, from Tblisi, Georgia, designed items that could be mass produced for use in three to five star hotels. The judging panel, which included APID's Ken Laidler, Chris Lee of InterContinental Hotels, and Guy Roukaerts, editor of Gulf Interiors, chose the winning entry on the basis of innovation, practicality, adherence to the brief, economic viability and presentation.

'I taught for 10 years so I know what this means to students. A lot of hard work has gone into this,' said Rashid, a former associate Professor of Industrial Design.

In second place, with a prize of US\$1,500 and

also of AUD was Sahar Motahari. In joint third place, with prizes of US\$500 each, were Certificate of Merit winners Aliya Al Saabri, of the American University of Shajah, and Neelanchana Sobhakumar, of Manipal University.

Maggie Moore, Project Director for The Hotel Show, said: 'Karim Rashid is an internationally acclaimed designer and an inspiration to design students the world over. He currently has 85 projects underway in 30 countries and is in demand around the world. We're delighted he could spend time giving advice and encouragement to our winners at The Hotel Show.'




The APID Annual Furniture Design Competition for Students 2006 was sponsored by Intercontinental Hotels, Fluid Production and The Hotel Show.

APID will promote the highest professional ideals of Interior Design to client bodies, whether governmental or private sectors, to industry, to its membership, and to society.

APID aims to stand equally alongside other representative bodies and institutions, and to participate fully in local and international events. APID, the Association of Professional Interior Designers, is the first association of its kind in the Arabian Gulf.

APID has been founded by the following organisations who are some of the leading names in the interior design industry.

APID now its first year of founding, aims to have its presence in all the countries of the Middle East. It aims to provide a platform for education and development within the design community through conferences, seminars, exhibitions and competitions. APID will assist in building connections within industry, that will help members expand their professional prospects by networking with colleagues and will give the design industry unified access to resources to market their design practice.





საზოგადოებრივი ინტერიერი

პროექტირების ფირმაში თბილისში
ახიკვესი: სოფო ახვლედიანი

წარმოგიდგინთ "პროკრედიტ ბანკის" ორ ფილიალს თბილისში, კერძოდ გლდანსა და მუხრანში. ორივე ფილიალი 2007 წელსაა გახსნილი. ბანკის სპეციფიკური ინტერიერის სივრცობრივი გადაწყვეტა მეტყველებს პროექტის ავტორის, "პროკრედიტ ბანკის" არქიტექტორის, სოფო ახვლედიანის თავდაჯერებულობასა და თავისუფალ აზროვნებაზე.

სოფოს აქვს უნარი შეიგრძნოს ბანკის ინტერიერის დამახასიათებელი კორპორატიული ფორმები და ფერები, ეს კი ინტერიერის კონფიგურაცია და მოპირკეთებაში, დეტალებისა და აქსესუარების შერჩევა-გადანაწილებაში მშვენივრად გამოვლენილი. დახვეწილი ფაქტურისა და ლოკალურ ფერთა მონაცვლეობა დიზაინთან სინქრონში დეკორის ხელოვნებას დეკლარირებს და ინტერიერი ერთი „მიზანსცენით“ მეორეში გადასვლისას, კომფორტით სიამოვნების მიღების საშუალებას იძლევა. რესპექტაბელური ტონების, ფორმათა გრაფიკულობის თანაარსებობა მშვიდ და დადებით განწყობას ქმნის. ზოგადად ინტერიერი ხასიათდება უბრალოებით.

სოფოს მიერ შექმნილი "პროკრედიტ ბანკის" სივრცე შესაბამისობაშია დიზაინის დღევანდელ აღქმასთან.





Public interior

Pro Credit Bank Tbilisi branch offices
Arhitect: Sopho Akhvediani

Interiors of Pro Credit Bank Tbilisi branch offices, created by Sopho Akhvediani, in the first place reveals the uninhibited, selfassured attitude of its autor toward color and form.

Combination of subdued colors and graphical forms creates a peaceful and positive atmosphere. the next positive factor is refined simplicity of the interior, which, in spite of aii its originality, is free of all excesses. The autor precisely express the most up-to date design trends. You can feel this everywhere - in configuration on the interiors, matching and distribution of furniture and distribution of furniture and accessories. Medley of exquisite textures and colors in combination with ultra-modern design manifests the mastery of decoration art and saturates the space with comfort.



დეკორატიული პალიტრები

საცხოვრებელი სახლის ინტერიერი მისი მეპატრონისა და არქიტექტორის შემოქმედებითი ალიანსის შედეგად იქმნება. არქიტექტორი საკუთარი შემოქმედებითი პრინციპების გამოვლენით განუმეორებელ საცხოვრებელ სივრცეს ქმნის, რომელიც მფლობელის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სხვა შემთხვევაა, როდესაც საზოგადოებრივი დანიშნულების ინტერიერის შექმნისას არქიტექტორი პროფესიულ შესაძლებლობებს წარმოაჩენს. შედეგი ორიგინალურობით უნდა გამოირჩეოდეს, ფუნქციურად და ესთეტიკურად შეესაბამებოდეს კონკრეტულ მოთხოვნებს და ამავე დროს არსებული გა-

რემოს მიკროსტრუქტურას პასუხობდეს. წარმოდგენილ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ინტერიერებში (ოფის-გალერეა „არტ ფაქტი“, ტურისტული სააგენტო „ეგზოტური“), მფლობელთა ფანტაზიისა და ინტერესების გათვალისწინებით, არქიტექტორმა („არტ ფაქტი“-ს დამფუძნებელმა) ვასილ თოხაძემ, დიზაინერულ-მხატვრული თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული, საინტერესო, ერთიანი სივრცეები შექმნა. მათში, ავტორი, დასამახსოვრებელი დიზაინერული ნიუანსებით, არაორდინალურ, დანიშნულების შესაბამის გარემოს ქმნის, რაც ინტე-



რიერის ინდივიდუალურობის წარმოსაჩენად მეტად მნიშვნელოვანია. არქიტექტორის გემოვნება და ზომიერება დიზაინის ლაკონურ ფერით-გრაფიკულ გადაწყვეტაში ჩანს. კომფორტული სივრცეები მარტივი, დახვეწილი ფორმებით, შესაბამისი ფურნიტურით სასიამოვნო აღსაქმელია.


ყოველ, მოცემულ შემთხვევაში, ორიგინალური გადაწყვეტები, საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება და საბოლოოდ, კონკრეტული ადამიანისთვის თუ ოჯახისთვის თვითმყოფადი, კომფორტული, მყუდრო საცხოვრებელი სივრცე იქმნება.

ნიმუ ლალიკი


ფოტო: რაბაზ ნაცვლიშვილი



ოფის-გალერეა „არტ ფაქტი“
OFFICE-GALLERY ART-FACT



ოფის-გალერეა „არტ ფაქტი“
OFFICE-GALLERY ART-FACT



ტურისტული სააგენტო „ეგზოტური“
TOURIST AGENCY EXOTOUR



ოფის-გალერეა „არტ ფაქტი“
OFFICE-GALLERY ART-FACT

Decorative Palettes

A residential interior is jointly created by an architect and the house owner – in other words, an architect designs an individual living space based on his creative principles and the owner's requirements. However, this practice is totally different when an architect works on a public space – the result should be original, but relevant to the specific functional and aesthetic objectives as well as the microstructure of the existing setting.

These residential and public interiors (office-gallery Art-Fact and tourist agency ExoTour), created in accordance with the imagination and interests of their owners by architect Vasil Tokhadze, are radically different as regards design objectives, but similar in being interesting and artistically integral. The author succeeded in designing impressive, purpose-specific and distinctively individual environments.

The architect's taste and moderation are proved by laconic graphical and color solutions, applied to the designs. These comfortable interiors impress with their simple, refined forms, careful choice of furniture and pleasant atmosphere.

In each particular case, unusual solutions and interesting findings serve to create an original, comfortable and peaceful environment in which a family or a business will surely feel at home.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY RAMAZ NATSVLISHVILI

საცხოვრებელი ინტერიერი
RESIDENCIAL INTERIOR





გრადუსის მოცულობითი სტრუქტურა



დიზაინერების, ქეთი თოლორაიას და ნატო ჯანბერიძის (დიზაინერული კომპანია „რუმს“) ძალისხმევით, აღქმადი ლაკონიზმით შენობილი, ზუსტად გათვლილი გადაწყვეტების ფონზე, მისი დატვირთვის სპეციფიკის შესაბამისი სტილური გარემო შეიქმნა.

მაქსიმალურად ეფექტურად წარმოჩენილი შედეგი ორიგინალურობით გამოირჩევა და ფუნქციონალურად და ესთეტიკურად შეესაბამება კონკრეტულ მოთხოვნებს. წარმოდგენილი, გუდაურში არსებული რესტორნის, „გრადუსის“ არქიტექტონიკა პლასტიკურად ვითარდება. ყოველი ამოცანა კომპოზიციური ხერხითაა გადაწყვეტილი და კომპოზიციური პრინციპის შენარჩუნებით მოცულობის სტრუქტურა ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება. არაორდინალური არქიტექტურული ნიუანსებით შექმნილ ექსტერიერს, ცალკეული, განსაკუთრებული ხიბლის მატარებელ მონაკვეთთა ერთობლიობა ქმნის.

ინტერიერის თავისებურება - დეტალებამდე გათვლილი სივრცის ფუნქციური ორგანიზებაა. არაორდინალური, მსუბუქი დეკორი შესაბამის განწყობას ქმნის. ამგვარად წარმოქმნილი ერთიანი საზოგადოებრივი ზონა აფართოებს „მანევრირების სივრცეს“ და მოცემულ ფართობზე ფუნქციითა მაქსიმუმის კონცენტრირება ხდება შესაძლებელი.

ენო ლალიძე


Volumetric Structure of Gradusi Restaurant

Stylish environment of Gradusi (Degree) Restaurant, located in Gudauri ski resort, has been created to designers Kate Toloraia and Nato Janberidze (design company Rooms).

The highly efficient design, based on precisely calculated laconic solutions, is original, aesthetic and function-specific. The construction conforms to a supreme compositional principle, integrating diverse forms into a flexible structure.

The interior space is surprisingly well-organized. Unusual and light decor helps create a relevant atmosphere. The unified, unbroken public zone leaves a lot of space for maneuvering and allows for maximal concentration of functions.

NINO LAGHIDZE





ელეგანტურობა დეკორში ვლინდება

რესტორან „პრო ბიენერეს“ ინტერიერი თვითმყოფადია - აბსოლუტურად განსხვავებული სტილისტიკით გამოირჩევა. არაორდინალური ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს. ინტერიერის ელემენტურობა დახვეწილ დეკორში ვლინდება, შესაბამისად ავტორთა - ქეთი თოლირაიას და ნატო ჯანბერიძის (დიზაინერული კომპანია „რუმს“) პროფესიონალიზმი ყოველ ფრაგმენტში შეიგრძნობა.

სივრცის სწორად ორგანიზაცია, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქ-

რებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, მოცემულ სათავსოთა საერთო სტილისტურ გადანწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული აქსესუარები ... უზაადო დიზაინი, საერთო იდეითა და თემით გამოთლიანებულ, ჰარმონიულ ინტერიერულ სახეს ქმნის. მასში დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია დამკვეთის ინდივიდუალურობა და დიზაინერებმაც, მოცემულ შემთხვევაში, ამოცანა ყოველივეს გათვალისწინებით გადანწყვიტეს.

ნინო ლალიძე





Elegance Revealed in Décor

The interior of Pro Bienere Restaurant features original, absolutely unique stylistics. Its unordinary atmosphere stresses the diversity of objects and articles "populating" the restaurant. Elegance of the interior, revealed in refined décor, manifests the professionalism of its authors Kate Toloraia and Nato Janberidze (design company Rooms).

Correct spatial organization, harmony of colours and materials, tasteful choice of light fixtures, furniture and accessories, conforming to general stylistic solution... Flawless design, serving to form a harmonious interior, integrated by a general idea and theme. With every detail carefully considered and matched to the owner's individuality, the designers successfully reached their goal in every aspect.

NINO LAGHIDZE





კომფორტი და სისადავე

დიზაინერ ალექსანდრე ზერცალოვის მიერ შექმნილი, ტურისტული კომპანიის „ვორდ ვაიდ ვებ“ ინტერიერის ერთიანი სივრცის ორგანიზების მთავარი მხატვრული პრინციპი მინიმალიზმი და სისადავეა. მოცულობის მთლიანი სახე სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულოდნელობებზეა აგებული.

ინტერიერის არქიტექტონიკა მარტივიცაა, როულიც და ლამაზიც. სივრცის მთლიანობის შთა-

ბეჭდილება კომპოზიციის დინამიზმით, დეკორის, ფერების ლავირებით, მოცულობით-სივრცობრივი გადანწყვებების რითმებითაა მიღწეული.

ინტერიერში, კიდევ ერთი, მისი „ვიზუალური მოძრაობის“ - ტრანსფორმიზმის იდეაა განხორციელებული, რასაც სპეცეფექტებისა და მოულოდნელი დიზაინერული გადანწყვებების სისტემები ილუსტრირებს.

ნინო ლაღიძე


Comfort and Simplicity

Interior of World Wide Web Tourist Company, created by designer Alexander Zertsalov, is based on simplicity and minimalism. The general principles, underlying this integral space, are sequence of unexpected solutions.

Architectonics of the interior is simple, complex and beautiful. The impression of integrity is achieved by

the dynamism of composition, decoration, color-matching and rhythms of spatial and volumetric solutions. Still another notable concept realized in the interior is the idea of visual motion, illustrated by a system of special effects and unexpected design solutions.

NINO LAGHIDZE



თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე ამერიკული ბარი „ბაფალო ბილ“, ქუჩიდანვე იპყრობს ყურადღებას. ექსტერიერი თუ ინტერიერი დახვეწილი, ზომიერი დეკორით გამოირჩევა და ამერიკულ, ტრადიციულ არქიტექტურულ მოტივებს დეკლარირებს. იგი, არქიტექტორ გოგი დევდარიანის პროექტ-

ით განხორციელდა. ფერი, ინტერიერის ხასიათის შესაბამისად, ტონალურ ნიუანსებში ლავირებს და ამგვარი ლაკონური, ოპტიმალური ანტურაჟი საგნობრივი გარემოსათვის არაჩვეულებრივ ფონს ქმნის. ინტერიერის ელემენტურობა ფურნიტურის, აქსესუარების არაორ-

დინალურ დეკორში ვლინდება, ხაზს უსვამს ავტორის პროფესიონალიზმს და მათთვის, ვისაც ძალუძს არსებული გარემო გადაჭარბებული თეატრალურობისა და პრეზენტაბელურობის გარეშე შეაფასოს, წარმოდგენილი დიზაინის ესთეტიკა მეტად ახლობელია.

ნინო ლაღიძე

ბაფალო ბილ

Buffalo Bill Saloon, located in Akhvlediani Street, is eye-catching. Its exterior and interior design, with its refined and subdued decoration, features traditional American motives. The Saloon was designed by archi-

tect Gogi Devdariani. Elegance of the interior, manifested in unordinary choice of furniture and accessories and variation of colors in accordance with interior specificity, highlights the author's professionalism and ren-

BUFFALO BILL

ders the aesthetics of the design valuable for those capable to appreciate an environment devoid of excessive mannerism.

NINO LAGHIDZE





ევრომედცენტრი

თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე №75 -ში, 25 დეკემბერს, „ევრომედცენტრის“ განახლებული ინტერიერის პრეზენტაცია შედგა. „ევრომედცენტრი“ დაფუძნებულია ევროპის მენოპაუზის, ევროპის ცერვიკალური კიბოს, ამერიკის კლინიკურ-ონკოლოგთა ასოციაციის, ევროპის ონკოლოგიური სკოლისა და ევროპის ნევროლოგთა ასოციაციის წევრების მიერ და მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიცაა გინეკოლოგია, კარდიოლოგია, ნევროლოგია, უროლოგია, მამოლოგია, ენდოკრინოლოგია, ლარინგოლოგია, ოფთალმოლოგია. ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური აპარატურით, რაც უზრუნველყოფს დაავადებათა თანამედროვე მეთოდებით დიაგნოსტიკასა და მკურნალობას.

„ევრომედცენტრის“ ინტერიერი, მისი მფლობელი ქალბატონის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგის, პროფესორ ია ვერულაშვილის იდეით განხორციელდა. კლინიკის ურთულესი, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი საერთო სივრცის გონივრულად დაცული ზონირებით, ჰორიზონტალში თუ ვერტიკალში, მინიმუმამდეა დასული კლიენტების გზების გადაკვეთა.

აქ მოხვედრისთანავე შეიგრძნობთ, რომ ინტერიერი ფერითი და სივრცითი გადანეყვებით აქტიური და ლოკალურია, რაც მისი იერსახის განმსაზღვრელია. დიზაინში დახვეწილი გემოვნება, სტილი, თვალსაჩინო პირობითობა, მთლიანი სივრცის ორიგინალური კომპოზიცია ნათლად გამოიკვეთება. ინტერიერში თბილი ფერითი პალიტრა დომინირებს. მოცემული თემატიკა გულდასმითაა დამუშავებული და ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. მასში წამყვანი, დომინანტი ელემენტების გადანაწილება, არქიტექტურული ელემენტი იქნება იგი, ფურნიტურა თუ სამედიცინო აპარატურა

(რომელიც ამ დროს თავის უტილიტარულ მნიშვნელობას კარგავს) დიზაინერული ხერხებით ოსტატურადაა შესრულებული. ყოველივე კი, მეტად სასიამოვნო, კომფორტულ, მყუდრო და რაც მთავარია საიმედო გარემოს ქმნის.

ნინო ლაღიძე








EuroMedCenter

On December 25, EuroMedCenter held a presentation of its new interior. EuroMedCenter, founded by members of European Pausimenia and Cervical Cancer Associations, US Clinical Oncologists' Association, European School of Oncology and European Neurologists' Association, covers such spheres of medicine as gynecology, cardiology, neurology, urology, endocrinology, ophthalmology, etc. The center is equipped with advanced analytical and diagnostic equipment, serving for detection and treatment of numerous illnesses.

The idea, underpinning interior design of EuroMedCenter, belongs to its owner – Doctor of Medical Sciences professor Ia Verulashvili. Carefully developed spatial structure of this clinic, equipped with complex machinery, caters for maximal comfort of its clients. The interior features active and localized design solutions, refined taste and original composition. Warm color palette in combination with skillful distribution and positioning of design dominants – architectural elements, furniture and medical equipment – creates an original, comfortable and – what is most important – safe environment.

NINO LAGHIDZE






ინტერიერული პალიტრა

არქიტექტორების რეზო მაზმანიშვილის და კობა კობიაშვილის (არქიტექტურული სტუდია „არქიკომი“) პროექტით შექმნილი საცხოვრებელი სახლების ინტერიერები თანამედროვე ესთეტიკითაა გაჯერებული, სადაც მკვეთრადაა გამოხატული სტილური დომინანტი. თავისუფალი გეგმარება, გეომეტრიზმი და ფორმათა გრაფიკა ესთეტიკასთანაა შერწყმული.

Interiors Palette

Interiors, designed by architects Rezo MazmaniSvili and Koba Kobiashvili, are saturated with modern aesthetics and dominant stylistic elements. Simple planning and strict graphic forms remind us of functional traditions. Textures and colors, free volumes and forms, minimum of local overtones and decorations clearly highlight originality of the design and professionalism of its authors.





თავისუფლების სტილი



თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაღლივი საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინის ინტერიერი, არქიტექტორების ზურაბ და დავით ნიკოლაიშვილების პროექტით განხორციელდა.

საცხოვრებლის თავისუფალი გარემო ინდივიდუალურია და აბსოლუტურად განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. სისადავე და მონუმენტურობა გეგმარების თავისუფლება და დინამიზმი ავტორების კონცეპტუალური კრედიტია. წინა პლანზე წამოწეული გამომხატველობითი არქიტექტურული ფიგურა ესთეტიკურ და მეტაფორულ ილუზიებთან ერთად უფრო ღრმა, დამოუკიდებელ აზრსა და მნიშვნელობას მოიცავს.

ინტერიერის მიკრო გარემო - ვესტიბული, მისაღები, სამზარეულო და საძინებელი ზონები და ა.შ., მათთვის დამახასიათებელი ფუნქციურობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ემოციური და ტვირთვით აღიქმება, კონკრეტულ მიზანს ექვემდებარება, მაგრამ ამავე დროს, სივრცის საერთო წყობასთანაა შეთავსებული. მოცემულ შემთხვევაში ესთეტიკა და პრაგმატიზმი მაქსიმალურად შეერწყმის ერთმანეთს. გეომეტრიული აბსტრაქცია ფორმის მნიშვნელობას მის რეალურ არსებობაში განავრცობს.

არქიტექტორთა მუშაობის დახვეწილმა სტილმა და გემოვნებამ სრულიად განსაზღვრა საცხოვრებელი ინტერიერის სტილისტური მთლიანობა და მისი შესაბამისობა ცხოვრების წესთან.

ნინო ლალიძე










Style of liberty

This residential interior, designed by Zurab and David Nikolaishvili. Planning of this interior space with its clearly defined functionality is remarkably simple and dynamic. Micro-environment of the residential: entrance, reception area, other rooms, etc. have a different emotional coloring, which at the same time complies with the general structure of the space. In this particular case, aesthetic aspect is so well matched with pragmatic considerations, that it is impossible to define the superiority of either.

The architects' refined taste accounts for stylistic integrity of the interior which fully corresponds to the lifestyle of the organization.

NINO LAGHIDZE









ფორმისა და ფერის აღიარება






არქიტექტორ დავით ხურცილავას პროექტით შესრულებული საცხოვრებელი ბინის ინტერიერის გამომხატველობას, მისი განუმეორებლობა განსაზღვრავს. მასალი-სა და ფორმის ლაკონურობა, ორიგინალური დიზაინი და კომპოზიციური გრაფიკა, სივრცეს ვიზუალურ ჟღერადობას მატებს. ინტერიერზე მუშაობისას, ძირითადი კონსტრუქციის „გამჭვირვალობიდან“ გამომდინარე, საცხოვრებლის ყოველ მონაკვეთში ერთიანი მოცულობის შეგრძნება შენარჩუნებული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მუდამ მთლიან სივრცეში ვიმყოფებით და არა მის რომელიმე ნაწილში. ამასთან ერთად საცხოვრებელში გადაადგილებისას, თითქოს უფრო შორს, ზღუდის უკან ვიხედებით. ფორმასთან, ფაქტურასთან, ფერთან დამოკიდებულება, არქიტექტორის პროფესიონალიზმს, გემოვნებას, შემოქმედებით პრინციპებს გამოავლენს და არაორდინალურია. მის მიერ შემუშავებული თემატური სცენარით შთაბეჭქდავი გარემო წარმოიქმნა, რომლის კოლორიტი დიზაინერული „დეკორაციებით“, ცალკეული „მოდულური“ ელემენტებით, ტონალობათა ლავირებითაა შექმნილი.

მთლიანობაში კი ავტორის ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნას ექსკლუზიური გარემო - მშვიდი, ესთეტიკური ყოფისა და მაღალი კომფორტის გარანტი - კონკრეტული ოჯახისათვის, სადაც ცხოვრება, მუშაობა და დასვენება სიამოვნების მომნიჭებელია.

ნინო ლალიძა
ფოტო: ნინო ალავეცი





The Alliance of Color and Form

This residential interior, designed by architect David Khurtsilava. Due to „ transparency,, of general composition, each of their designs leaves an impression of integrity which cannot be broken down into separate spaces.

Classical distribution and diversity of geometrical forms, reserved use of carefully picked and matched details, impressive compositional pattern reveal the designers taste, professionalism and creative principles.

David Khurtsilava is masterful in creating environments which evoke comfort and peace-personalized living spaces where both repose and work are equally pleasant.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY : NINI ALAVIDZE



თავისუფალი სტილი ინტერიერში



სახლის მეპატრონე, ხომელიძე სტილისათვის უპიჩატესობის მიცემით, სანგხიძელი დიზაინერის მიერ განსაზღვრულ ატმოსფეროს, ცხოვრების წესს. სახლში გამეფებული სტილი, ჯი თავად ზემოქმედებს მასზე.

ინდივიდუალური საცხოვრებელი, თბილისში.
ავტორები: ქეთი თოლოხია და ნატა ჯანბერიძე



წარმოდგენილი ინტერიერის ავტორები ქეთი თოლოხია და ნატა ჯანბერიძე (დიზაინერული კომპანია „რუმსი“) არიან. მათ, სახლის მფლობელის გემოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით, საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფუნქციურ ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერიტი კონტრასტებით, თანამედროვე დახვეწილი ინტერიერი შექმნეს.

საცხოვრებელ სივრცეში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული სათავსოს ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას.

საცხოვრებელში, ავტორებმა, მხოლოდ მისთვის აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შექმნეს. ინტერიერის დიზაინი, მის ბინადართა გემოვნების, სოციალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.

ინო ლალიძე







Free Style of Interior Design

House owners, giving preference to this or that particular design style, actually choose an atmosphere, in which they will exist for a certain amount of time and which will have its influence on their lives.

The authors of this interior are Ketil Toloraia and Nato Janberidze (Design Company Rooms). Considering the taste and expectations of the house owner, they creat-


ed a refined modern interior space with clear architectural graphics, original furniture and skillful color contrasts.

Unexpected design touches add lightness to the residential space and increase the efficiency of its planning. In the stylistic integrity, individuality and functional specificity of each room stand out. All elements of the space serve to highlight the feeling of freedom,

visually increase the space, accentuate its form, define the depth and intensity of colors.

Creating this interior, authors endowed it with comfort and originality, which would not look natural in any other place. In other words, the design represents an incarnation of the inhabitants' taste and social position.

NINO LAGHIDZE





ოთახი ორი - 6 და 7 წლის ბიჭისათვის






ინტეჩიხის დიზაინის ავტორი სანდრო ანთაძე გთავაზობთ ავტორის განმახტებებს ნახნოდგენილ ინტეჩიხზე, ჩვენი კომენტაჲების გაჩეშე.

- ამოცანა მდგომარეობდა შემდეგში: უნდა გამეჲეთებინა ოთახის დიზაინი ოჩი, 6 და 7 წლის ბიჭისათვის, ოთახის ფართი 14 კვ.მ; ქეჩის სიმაღლე 2.5მ.


იმის გამო რომ მთლიანად ბინა პატარაა (ოროთახიანი ლოჲიით, „ხრუშოვკა“) და მასში ცხოვრობს 6 სული ანუ დედა, მამა, ბაბუა, ბებია და ორი ბიჭი, ყველა ოთახში დამსვდა საწოლები და ავეჯი. იდეა გამიჩნდა, ოთახი მომეწყო ისე, რომ ბავშვებს ჰქონოდათ ცალკე იზოლირებული სივრცე და შეძლებოდათ: დაეძინათ, ემეცადინათ, დაესვენათ, ეთამაშათ, ევარჯიშათ, მიელოთ სტუმრები და გადაეხადათ დაბადების დღეებიც. ყოველივე ეს კი, ერთ პატარა ოთახში, დამეთანხმებით, საკმაოდ ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა იყო..

გაჩნდა ტრანსფორმირებადი ოთახის შექმნის იდეა, ანუ იმის მიხედვით თუ რა დასჭირდებოდათ ბავშვებს მოცემულ მომენტში, ოთახი ადვილად გარდაქმნილიყო, მაგალთად: საძინებლიდან მცირე კინოდარბაზად, სპორტულ მოედნად, საბანკეტო დარბაზად და პირიქით - სამეცადინო ოთახად თუ საძინებლად, რა თქმა უნდა, ვიმეორებ, 14კვ.მ ფართის ფარგლებში.





პირველი, რაც უმთავრესი იყო, გავაკეთე ორი ორსართულიანი ზუსტად ერთნაირი სანოლის დიზაინი (ვეცადე რომ თითოეულ ბიჭს, ბავშვის ხასიათიდან გამომდინარე, ერთნაირი ავეჯი და სივრცე ჰქონოდა). მის ქვედა დონეზე საკმაოდ დიდი და ნათელი სამეცადინო მაგიდა (შევარჩიე ნათელი ფერის ლამინატი იმისათვის რომ ბუნებრივი სინათლეც ყოფილიყო მაგიდაზე), სრულყოფილი იმისათვის, რომ ბავშვები, როცა გაიზრდებიან, იგივე ავეჯის გამოყენების შესაძლებლობა ჰქონდეთ, დანიშნულებისამებრ.

- აღსანიშნავია, რომ ბავშვების მამა კალათბურთელია და სიმაღლით ორ მეტრზე მეტია. ბავშვებიც, თავის ასაკთან შედარებით, მაღლები არიან და სავარაუდოდ, მომავალში საკმაოდ მაღლები იქნებიან. ამის გამო სანოლები, რომლებიც ამ კონსტრუქციის ზედა დონეზეა განლაგებული, ასევე დიდი ზომისაა. ორსართულიანი სანოლი სრულიად მარტივი მეთოდებით იკეცება, ანუ ზედა სანოლი, რომელიც კედელთ-



ან გამძლე მარყუჟებითაა (პეტლებით) დამაგრებული, ზევით იკეცება და გაუთვალისწინებელი დახურვის გამოსარიცხად ორივე მხრიდან თოკებით ფიქსირდება. შესაძლებელია, ზედა ნაწილიც აიკეცოს და მართო სანერი მაგიდა დარჩეს გაშლილ მდგომარეობაში, (ეს იმისათვის რომ სივრცის შეგრძნება გავზარდოთ). მაგიდა მარტივად შეიძლება გადაკეთდეს სანოლად ან სავარძლად, თავისი ადგილმდებარეობიდან (75სმ იატაკიდან), უფრო ქვევით გადატანით (40სმ-ზე იატაკიდან). მასზე დაიდება ლეიბი და ბალიშები (რომლებიც ოთახში მდებარეობს) და კომფორტული, დასასვენებელი კუთხე მოეწყობა.

- კონსტრუქციის ფეხები, რომელსაც ზედა სანოლი ნაწილი და მაგიდა ეყრდნობა კედელზე მარყუჟებითაა (პეტლებით) მიმაგრებული. საჭიროების შემთხვევაში, დასაწოლი ნაწილი „ადის“ ზევით, მაგიდა იხსნება, დამჭერი ფეხები იკეცება და კედელთან ფიქსირდება. გამოდის რომ მთელი კონსტ-



რუქციის მობილურობიდან გამომდინარე, ფართი სხვადასხვა დანიშნულებისათვის თავისუფლდება (იხილეთ ფოტოები). მინდა, დიდი მალობა გადავუხადო "ჯესკო ჯგუფს" რომელიც დამეხმარა იდეის განხორციელებაში, ამ კონსტრუქციის დამზადებისას.

- ოთახში არის პატარა ბორბლებით აღჭურვილი 8 ტუმბო. ისინი რამოდენიმე ფუნქციას ითავსებენ. ტუმბოების ერთმანეთთან მიდგმა-მინებებით (გვერდებზე აქვთ მაგნიტები) ოთახში იწყობა მაგიდა და იშლება სადღესასწაულო სუფრა. ტუმბოები ბორბლების მეშვეობით ადვილად გადაადგილდება ოთახში. მათი „დამალვა“ შეიძლება სამეცადინო მაგიდის ქვეშ. გარდა ამისა, ისინი გამოიყენება, როგორც სკამები მა-




გიდის გარშემო. მაგიდას ორი ფუნქცია აქვს - მარყუჟებითაა მიმაგრებული კედელზე და იკეცება. გაშლილ მდგომარეობაში მაგიდაა, აკეცილ მდგომარეობაში კედლის დეკორის ნაწილი, რომელიც პლაკატის ჩარჩოს წარმოადგენს.

- აღსანიშნავია, ოთხი, ფერადი, ერთმანეთზე დანყობილი ლეიბი ბალიშებით, რომელიც რბილი ავეჯის ფუნქციას ასრულებს და საჭიროების შემთხვევაში, მათი ოთახის ნებისმიერ ადგილზე გადატანა შეიძლება. საწერი მაგიდების საწოლებად გადაკეთებისას სწორედ ეს ლეიბები გამოიყენება. შეიძლება, ლეიბები გაიშალოს მთელს ოთახში, იატაკზე და მოეწყოს საჭიდაო ტატამი. ავეჯიდან, სტატიკურია მხოლოდ ორი ერთნაირი კარადა. მათში, უჯრებისგან მოწყობილია კიბე იმისთვის, რომ ბავშვს შეეძლოს ადვილად მიწვედეს ტანისამოსის ჩამოსაკიდ ძელს.

- ოთახის ერთი კუთხე ვარჯიშისთვისაა განკუთვნილი. აქ არის: ნამდვილი კალათბურთის ფარი, ბოქსის მსხალი, ჩამოსაკი-

დი რგოლები, პრესის სავარჯიშო ტრენაჟორი. ეს უკანასკნელი კედლისაკენ იკეცება. მის უკანა მხრეს დამაგრებულია ორგანიზაციისაგან დამზადებული სარკე, რომელიც ძლიერ დარტყმას უძლებს და არ ტყდება. აღსანიშნავია, ის, რომ უსაფრთხოების ელემენტები მრავლად არის შეტანილი ოთახის დიზაინში - საწოლებს, ბავშვები, რომ არ გადმოვარდნენ ძილის დროს, პატარა მოაჯირები უმაგრდებათ; ოთახიდან მეორე ოთახში გასასვლელ კარებში, სადაც მეორადი განათებაა, ორგანიზაცია ჩასმული და ბავშვები მას თამაშის დროს ვერ გატყეხავენ; ფორმით ბრტყელია და პლასტიკისაა ჭერზე მიმაგრებული განათების დიზაინი. დეკორის შემადგენელი ნაწილი - დეფორმირებული, ორგანიზაციისაგან დამზადებული სარკეებიც უსაფრთხოა, სივრცის ვიზუალური გადიდებისთვისაა გამოყენებული და მეორე



დანიშნულებაც აქვს - იქმნება სიცილის ოთახის ეფექტი ანუ ინტერიერში გასართობი ელემენტია.

- კედლების დეკორი მოეწყო შემდეგნაირად: კედლებზე დამონტაჟდა ხის ჩარჩოები. ისინი შეიღება კედლის ფერში, განაწილდა ერთ კედელზე და ჭერზე, სანოლის თავზე. ბავშვებს შეეძლებათ, რომ ამ ჩარჩოებში ჩასმულ, თავიანთ საყვარელ ფოტოებს ან რეპროდუქციებს უყურონ დაძინებისას თუ გაღვიძებისას. ჩარჩოებში ფოტოების ან რეპროდუქციების ჩასმისას არ არის საჭირო ჭიკარტები ან სხვა დამჭერი საშუალება (გარდა დიდი ზომის ჩარჩოებისა) ანუ ისინი თავიანთი სიხისტით მაგრდებიან. იმის მიუხედავად ჩასვამთ ჩარჩო-



ებში რაიმე რეპროდუქციას ან ფოტოს თუ არა, ეს ჩარჩოები თავისთავად კედლის დეკორს წარმოქმნიან. მათში უმეტესწილად დიზაინის ავტორის ანუ ჩემი ნახატების რეპროდუქციებია ჩასმული. კედლების ფერი ღია ტონებშია გადანყვეტილი, იმისთვის რომ პატარა ოთახს მაქსიმალური სინათლე ჰქონდეს.

- განვიხილოთ რა გამოგვივიდა: გვაქვს 14კვ.მ ფართის ოთახი, სადაც არის სრულყოფილი: ორი სანოლი, ორი სამეცადინო მაგიდა, ორი კარადა, რბილი ავეჯი, სპორტული კუთხე, მაგიდა. საშუალებაა იმისა, რომ ბავშვებმა დაპატიჟონ მეგობრები და 16 სტუმრის შემადგენლობით გადაიხადონ დაბადების დღეები, დატოვონ 4 სტუმარი ღამით, მოაწყონ სათამაშო მოედანი ან კინოდარბაზი.

- ჩემი აზრით ამოცანა საკმაოდ კარგად გადაიჭრა. მშობლებიც და ბავშვებიც საკმაოდ გახარებულები დარჩნენ.



A room for two boys

(6 and 7 years of age)

Author of interior design: Sandro Antadze

We offer to your attention the author's comments on this interior.

The goal was to design a room for two boys, 6 and 7 years of age.


Room area: 14 sq. m.

Ceiling height: 2.5 m.

As the apartment is quite small (two rooms with a loggia, the so-called "Khrushchev" planning) and houses 6 persons – mother, father, grandfather, grandmother and two young boys, on my first visit there I saw beds and furniture in all the rooms. I decided to structure the apartment so that the boys got their own isolated space where they could sleep, study, rest, play, train, entertain their visitors and even arrange parties. You will agree, it is quite hard to accommodate all these tasks in one small room.

It occurred to me to create a transformable room, a place, which could be easily altered in accordance with what the children needed at this or that particular time – e.g. to turn the bedroom into a miniature cinema, or a sports ground, or a banquet hall and back into a study or a bedroom – all this within the fixed limits of 14 sq. m.

The first and foremost was to design two identical two-level beds (I tried to arrange so that both boys had identical furniture and living space) with sufficiently large and well-lighted writing desks on the first level (I specially chose a light-colour laminate, well matching with natural daylight), which the boys would be able to use efficiently in the subsequent years. It should be noted that the boys' father is a basketball player, a really tall man, over 2 meters in height. The children too are remarkably tall for their age and one should suppose that this circumstance will not disap-



pear in the future, when they grow up. This is why the beds, located on the second level of the construction, are quite big. This two-level construction is collapsible: the bed, fastened to the wall with hinges, can be folded up and secured in this position so as to prevent refolding; the upper supporting frame can also be folded away, releasing the space around and above the writing desk. By adjusting the height of the desk one can convert it into a bed or an armchair (it is enough to lower this part of the construction from 75 cm to 40 cm over the floor) and convert it into a comfortable resting area with the help of a mattress and some cushions, stored inside the room. The feet, supporting the upper 2nd level and the desk, are also equipped with hinges, so that when the 2nd level bed is folded up, the feet are folded away and fastened to the wall in a similar manner. In other words, the mobility of this construction allows to release the space for various functions (as you can see at the photos). I would like to thank Jesco Group, which helped me in developing this idea and creating the construction.

The room also contains 8 movable miniature chests of drawers, combining several functions. One can stack

the chests together (they have magnets on their sides) into a large feasting table, or move them about within the room, or hide them away under the writing desks. On the other hand, they can also serve as chairs for another construction, hinged to the wall – in the unfolded position it serves a table, and in the folded position – as a wall decoration (poster frame).

Four colour mattresses with cushions can be moved around the room, laid on the desks (when they are converted into the beds) or spread out on the floor to form a tatami.

The only static furniture in the room are two identical wardrobes with drawers arranged into a ladder and enabling the children to reach the clothes hanging pole.

One part of the room is specially equipped for sports. It contains a full-size basketball backboard, a punching ball, rings and a holder for stomach exercises. The latter can be folded up to reveal a shock-




resistant plexiglas mirror. Safety requirements has been duly considered in various design elements inside the room: beds have adjustable side-fencing, preventing the children from rolling over the edge, the door of the room is equipped with a shock-resistant plexiglas window and the entrance to the room has secondary lighting, light fixtures inside the room are all flat, made of plastic and positioned on the ceiling. The safe plexiglas mirrors visually increase the space and introduce an element of amusement.

One of the walls and a part of ceiling over the beds are decorated with wooden frames, which can be left empty or adorned with the children's favourite photos, posters or drawings. Right now, the majority of these frames contains copies of the designer's (i.e. mine) paintings. Colouring of the walls is light, because the small room requires a maximum of lighting.


Let us summarize the result: we get a 14 sq. m. room, containing two beds, two writing desks, two wardrobes, soft furniture, a sports corner, a table and enabling children to entertain visitors, arrange parties with up to 16 guests, invite up to 4 persons stay overnight and transform the room into a playground or a home cinema.

In my opinion, the solution is efficient. As I saw it during the TV show "Bina", both the children and their parents were very happy with the room.





ბუნება ჩვენს გვერდით



დღეს ჩვენთან, მწვანე ლანდშაფტუხი აჩიეტუქუხის განვითარებას მნიშვნელოვანი უსაძლევა ეთმობა. თბილისში, უკვე ჩამდენიმე წელიწადია ჩამოყალიბდა სპეციალისტთა ჯგუფი - ფიჩმა "ფიტო-ციზანი", რომელიც ნაყოფიერად მუშაობს აღნიშნულ სფეროში. ამჯერად, შესაძლებლობა გვეძლევა გავსაუბროთ ფიჩმის ერთ-ერთ ნაჩამომადგენელს, აჩიეტუქუხის, ჰიოფესის თენგიზ მახახაშვილს.

- ბატონო თენგიზ, ყველასათვის ცნობილია, რომ მთელ რიგ, განვითარებულ ქვეყნებში, მსხვილი ინდუსტრიის განვითარებამ, სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები წარმოქმნა. შესაბამისად, იქ ლანდშაფტური არქიტექტურის დიდი ტრადიციები არსებობს...

- მთელს მსოფლიოში დიდი ქალაქების უზარმაზარი ურბანული სივრცეები და მათი მრავალრიცხოვანი მცხოვრებნი მონყვეტილი არიან ბუნებრივ გარემოს, რაც დღეს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ადამიანი გამუდმებით ცდილობს დაუბრუნდეს მისთვის სასურველ ცოცხალ ბუნებას. ამიტომაცაა, რომ ბევრი მათგანი ტოვებს მრავალსართულიან კორპუსს და ქალაქგარეთ, ეზოიან ვილებში გადადიან საცხოვრებლად. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მოთხოვნა ბუნების თუნდაც მცირე ნაწილთან კონტაქტისა სულ უფრო იზრდება, შესაბამისად ეზოების კულტურული ლანდშაფტის შექმნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მოთხოვნიდან გამომდინარე ბევრ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბებულია კარგად განვითარებული ლანდშაფტური დიზაინისა და მშენებლობის სისტემა.

აქ ფუნქციონირებენ მრავალრიცხოვანი სპეციალიზირებული ფორმები, რომელთა საქმიანობა როგორც პოპულარული, ასევე მომგებიანია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქალაქის სივრცეების, ინდივიდუალური ეზოების, ბაღების და ა.შ. კულტურული ლანდშაფტის შექმნა(გამწვანება, საცურაო და დეკორატიული აუზები, ფანჩატურები, ალპური გორაკები, ჩანჩქერები, შადრევნები, სპორტული მოედნები, ბილიკები და ა.შ.) კაპიტალურ მშენებლობაზე გასულ ხარჯებზე არანაკლებ დაფინანსებას მოითხოვს.



- ამ კუთხით სასიკეთო ძვრები დაიწყო საქართველოშიც. რას გვეტყვით ამის შესახებ?

- მიუხედავად ძალზე ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა, საქართველოში ლანდშაფტური პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიმართულება ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, თუმცა ბოლო წლებში მაინც იგრძნობა გარკვეული გამოცოცხლება.

დღესდღეობით ფუნქციონირებს რამდენიმე ლანდშაფტური დიზაინის ფირმა, მცირე არქიტექტურული ფორმების მშენებლობის სპეციალიზირებული ორგანიზაციები. ამასთან მშენებლობის არსებული მოცულობების გათვალისწინებით, დაკვეთები, როგორც ქალაქების შიდა სივრცეების, ასევე ქალაქგარეთ ინდივიდუალური აგარაკების გამწვანებასა და კეთილმოწყობაზე, ძალზე მცირეა.

- ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ფირმა „ფიტო-დიზაინმა“, ახლახანს, რამდენიმე საინტერესო პროექტი განახორციელა. როგორ შეაფასებდით შედეგს?

- შეიძლება, განვიხილოთ რამდენიმე საინტერესო განხორციელებული პროექტი, რომელიც ფირმა „ფიტო-დიზაინში“ შესრულდა (დირექტორი გ. გოთუა), კერძოდ გასული წლის შემდგომზე დასრულდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის შიდა ეზოს გამწვანება და კეთილმოწყობა.

ეს 300 მ2 სივრცე, რეკონსტრუქციამდე, ფაქტურად სრულად უღიმღამო, სასაწყობო მეურნეობის ფუნქციას ასრულებდა. პროექტისა და მშენებლობების დასრულების შემდეგ, იგი გახდა კონსერვატორიის ფუნქციონალურ-ესთეტიკური გარემოს ორგანული ნაწილი.

უპირველეს ყოვლისა აღდგა ეზოს შიდა და გარე კავშირები და მოეწყო ორი დონე. ქვედა დონეზე განთავსდა დეკორატიული ბაღი, მწვანე გაზონებით, დეკორატიუ-

ლი მცენარეებით, ბილიკებით, აუზით, ალპიური გორაკით და ა.შ. გაკეთდა თანამედროვე განათებისა და მორწყვის სისტემა.

ზედა დონის კეთილმოწყობილ და გადახურულ ტერასაზე გათვალისწინებულია მცირე ფორმატის ინსტრუმენტალური კონცერტების, შემოქმედებითი საღამოების და ა.შ. ჩატარება.


საბოლოოდ კონსერვატორიამ საკმაოდ საინტერესო და ფუნქციონალურად მიზანმიმართული ღია სივრცე მიიღო.

გასულ წელს დამთავრდა აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროზე სოფ. ბობოყვათში არსებული აგარაკის ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა. მრავალწლიანი მარადმწვანე სუბტროპიკული ნარგავები მთლიანად შენარჩუნებულ იქნა. ამასთან მთლიანად განახლდა დეკორატიული ბილიკების ქსელი, აშენდა ახალი დასვენების ზონა, პერგოლით, აუზით, შადრევნით და ჩანჩქერით, რულონური მასალისგან მოწყობილი 800მ2 მეტი გაზონი, განათებისა და მორწყვის სისტემა.

აღნიშნული, საკმაოდ დიდი სამუშაოების ჩატარების შედეგად შეიქმნა თანამედროვე მაღალმხატვრული დასვენების ლანდშაფტური ზონა.

რამდენიმე არქიტექტურულ-ლანდშაფტური პროექტი განხორციელების სტადიაშია. მათ შორის აღსანიშნავია ზემო წყნეთში მშენებარე აგარაკის დიდი ეზოს გამწვანება და კეთილმოწყობა. აქ უკვე მოეწყო ეზოს ტერასები, საცურაო აუზი, დასვენების ზონა ფანჯატურით და ეზოს ბუხრით, დეკორატიული ბილიკები, დაიგო ბელტის გაზონი.

ამრიგად, ჩვენს პრაქტიკაში თანამედროვე დიზაინის ლანდშაფტური გარემოს პროექტირება და მშენებლობა ნელა, მაგრამ მაინც ხორციელდება და იმედია მომავალში ამ მიმართულებით თვითშემოქმედებას პროფესიონალური გადაწყვეტები შეცვლის.



Nature by our Side

Nowadays, landscape architecture development enjoys increasing attention in Georgia. Several years ago, a group of specialists came together to form "Phyto-Design" Company, which has been successfully working in this sphere since then.

Today we have an opportunity to talk to one of the representatives of this company, professor Tengiz Makharashvili.

There have been some positive changes in this direction in Georgia too. What could you tell us in this regard?

In spite of highly favourable natural and climatic conditions, the sphere of landscape design and construction is still weakly developed in our country. However, increase of interest toward green architecture is evident.

As of today, there are several active landscape design companies in Georgia. But taking into account the current construction boom, demand on landscape design in either urban or rural areas is rather small.

As we know, PhytoDesign recently accomplished several interesting projects. How would you evaluate their results?

Among the most recent projects, implemented by PhytoDesign (director G. Gotua), I would like to specially mention landscaping works we performed in the inner courtyard of Tbilisi State Conservatory last autumn.

Before reconstruction, this 300 sq. m. area was a drab place, mainly used for storage of occasional

items. After implementation of our project, it became an integral part of the functional-aesthetic atmosphere of the Conservatory.


In the first place, we restored the inner and outer connections of the courtyard, broke the area into two levels, of which the lower now represents a garden with lawns, decorative plants, paths, a pool, a miniature alpine hill, etc., modern lighting and watering system, while the upper is a terrace, where one can arrange small instrumental concerts, parties and festive events.

In the long run, the Conservatory got a really interesting and functionally efficient open space.

Last year we also finalized landscaping of a villa in Bobokvati village on the Black Sea coast. Our designers left intact the existing subtropical greenery, fully renovated a network of decorative lanes and arranged a recreation zone with a pergola, pool, fountain, waterfall, a 800 sq. m. lawn as well as relevant lighting and watering systems, which turned the area into an original recreational landscape.

At the time being, we are working on several landscaping projects, including a large courtyard in Tskneti village, where we already arranged open terraces, a swimming pool, a fireplace, decorative lanes and a lawn.

To draw a conclusion, I can say that popularity of landscape design in our country gradually increases and, hopefully, occasional practice in this sphere will be soon replaced by professional approach.



განწყობა ყვავილებით



წლიდან მალაზია FLOWERS.GE მდებარეობს. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა მომსახურების დონით, რადგან ყვავილების მოდის საერთაშორისო ტენდენციებს მისდევს და ყოველთვის ცდილობს მომხმარებელს თანამედროვე საინტერესო (ზმირ შემთხვევაში ინდივიდუალური) დიზაინი შესთავაზოს.

FLOWERS.GE-ს დიზაინერები მალალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან. მათ მიერ შექმნილი ულამაზესი კომპოზიციები ნებისმიერი დანიშნულების ინტერიერში განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნიან. იდენტური ეფექტს იძლევა სხვადასხვა სპეციფიკის პრეზენტაციისა თუ ლონისძიების ფლორისტიკული გაფორმება, რომელიც არსებულ დეკორთან შერწყმით დღესასწაულს არაორდინალურ გამომხატველობას და დატვირთვას აძლევს.

FLOWERS.GE-ს მრავალფეროვანი დიზაინი - სტილური, ორიგინალური თაიგულები და კომპოზიციები - შესანიშნავი საშუალებაა გამოხატო გრძნობები ცხოვრების ნებისმიერი შემთხვევისათვის.

ინო ლალიძე

ჩვენი, ადამიანების ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ქვეცნობიერ დონეზე ყოველთვის გვიჩნდება სურვილი სილამაზით შემოვიფარგლოთ. ყვავილები - სილამაზისა და დახვეწილი არომატის ჰარმონიული შერწყმაა. ყვავილების თაიგულის სინატიფე თუ თამამი კომპოზიციები განსაკუთრებულ ბრწყინვალეობას მატებს ნებისმიერ გარემოს, ხოლო გამწვანებისა თუ ყვავილების მარტივი, ბუნებრივი გადანაწილება სიმშვიდეს, კმაყოფილებას, სიცოცხლის სისარულს შეგრძნებას აძლიერებს. თბილისში, ირ. აბაშიძის ქუჩაზე 2006



Flowers for Positive Mood



The human nature is such that we subconsciously strive to surround ourselves with beauty. Visual beauty and refined perfume are harmoniously united in flowers. Exquisite bouquets or compositions of flowers add a special flair to any environment, while presence of live plants and flowers intensifies the feeling of comfort, contentment and the joy of life.




Since 2006, FLOWERS.GE Shop has been operating in Irakli Abashidze Street, Tbilisi. This establishment features top-level servicing, follows the international trends of flower fashion and always attempts to offer its clients interesting (and, most often, tailor-made) solutions.

The FLOWERS.GE has a crew of highly qualified designers. Their compositions and on-event floristic dec-



orations highlight the existing interiors and add originality and special charm to public events of various purposes.

Diverse design solutions, offered by FLOWERS.GE – beautiful bouquets and compositions – are a perfect means of expressing your feelings with style on any occasion.

NINO LAGHIDZE



ხანძთის ტაძრის მომავალი



2007 წლის დეკემბრის დასაწყისში თურქეთში ხანძთის ტაძრის გუმბათმა წგრევა განიცადა, საბედნიეროდ სრულად მხოლოდ გუმბათის სფერო ჩამოინგრა. მომხდარმა ფაქტმა ერთიანი შეწყალება იწვევს, რომ ხანძთის მთავარი ეკლესია არქიტექტურულ შედეგს წარმოადგენს, ხოლო იმისათვის რომ ხანძთამ მსოფლიო ხელოვნების საგანძურში სათანადო ადგილი დაიკავოს ჯერ ძეგლის გადარჩენა, რესტავრაცია და შემდგომ პოპულარიზაცია აუცილებელი. პარადოქსია, მაგრამ მომხდარმა წგრევამ არქიტექტურულ ძეგლის უკეთესი პერსპექტივა დასახა, ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხანძთის ტაძრის გადარჩენად, თურქული მხარე როგორც ყოველთვის განსაკუთრებულ დაინტერესებასა და გულისხმიერებას იჩენს, რაც ჩვენი მეგობრული ურთიერთობის საუკეთესო დასტურია. როგორია ძეგლის მომავალი? - ამ საკითხზე ჩვენ ანკარაში მცხოვრებ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, **British Archaeological Institute of Ankara** და **American Research Institute of Turkey**-ს წევრს, ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის ერთ-ერთ გამორჩეულ ექსპერტს ირინა გივიაშვილს ვესაუბრეთ. მისი ინტერვიუდან მკითხველი ბევრ საინტერესო ფაქტს პირველად შეიტყობს.

- ქალბატონო ირინა, მოდიტ "სტილის" მკითხველს ხანძთის ისტორია შეგახსენოთ.

ი.გ. - ხანძთის სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, მაღალმთიან სოფელში, რომლის თანამედროვე სახელია ფირნალი.

ხანძთის სამონასტრო კერისა და მისი დამაარსებლის, წმ. გრიგოლ ხანძთელის შესახებ არაფერი გვეცოდინებოდა, რომ არა გიორგი მერჩულის აგიოგრაფიული თხზულება და მისი ერთადერთი ხელნაწერი (XI ს), რომელიც იერუსალიმის საპატრიარქო წიგნთსაცავის ქართულ ხელნაწერთა ფონდშია დაცული. პირველად მას 1845 წელს ნ. ჩუბინა-შვილმა მიაკვლია, ხოლო 1902 წელს ნ. მარმა გა-

დმოიღო და 1911 წელს გამოაქვეყნა.

ნიკო მარმა გადაწყვიტა ხანძთელის დაარსებულ კლარჯეთის საკანეებიც მოეძია და მასალა ხელნაწერთან ერთად გამოეცა. ამ მიზნით მან 1902 წელს ექსპედიციაც მოაწყო და რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტად ხანძთის იდენტიფიკაციის დროს დაიბნა. ხანძთად კარჩხალას ხეობაში მდებარე ნუკას საყდარი მიიჩნია, ფორთის სამონასტრო კომპლექსი კი - შატბერდად, მაგრამ მინც ინტუიცია მას სხვას კარნახობდა და ამ გრძობას ის გულწრფელად წერდა კიდევ შეგშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებში: „სად არის შატბერდი? მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლი იწოდებოდა ხანძთელად, რომ ხანძთა მისი პირმშოა,

შატბერდი ჩემს წარმოდგენაში რატომღაც უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული გრიგოლთან... მე სიამოვნებით ვაბიჯებდი მონასტრის კარის ზღურბლს, სულიერად ამაღლებული და ცრემლებამდე შეძრული იმ აზრით, რომ შევდიოდი ძველ განმანათლებელთა ინტიმურ კუთხეში.“

- ძველ განმანათლებელთა ინტიმური კუთხე, რამდენად არის ის დღეს ინტიმური?

ი.გ. - რა თქმა უნდა, ის ახლაც ასეა, მაგრამ როცა რამდენიმე წლის წინ ბერმა და ერმა იქ მრავალი საუკუნის შემდეგ პირველი წირვა აღავლინა, და მერე ამ ფაქტის შესახებ მთელს ქვეყნიერებას აღფრთოვანებულმა აცნობა, არა მგონია სწორი გადანიჭვები იყო. არც ის მგონია მართებულად, რომ მუსლიმურ სამყაროში წირვა ჩუმად უნდა ჩაატარო. ემოციები მაშინაა უმანკო თუ მას ჩვენში ვატარებთ. ხანძთა მრავალი ჩვენგანისთვის წმიდათა წმიდა ადგილად რჩება. დღეს ის საქართველოსა და თურქეთის საერთო მემკვიდრეობაა და საერთო ფასეულობას განსაკუთრებით სათუთად და ფაქიზად უნდა მოვუაროთ.

- ხანძთის კომპლექსი სხვადასხვა სამონასტრო შენობებს მოიცავს, რომელი მათგანია გრიგოლისდროინდელი და ვინ და როდის ააშენა ხანძთის გუმბათიანი ეკლესია?

- სამონასტრო კომპლექსი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა არსებობას გულისხმობს. ასეა ხანძთაშიც, სადაც საკმაოდ ბევრი შენობის ნაშთია შე-

მორჩენილი. მონასტერი XVI საუკუნემდე განაგრძობდა სიცოცხლეს და შესაბამისად განახლებას.

მონასტერი გრიგოლ ხანძთელმა მერვე საუკუნის ბოლოს დაარსა. პირველად, დაახლოებით 782 წელს, როცა მან ეს ადგილი ღმერთის კარნახით იხილა. ორი წელის შემდეგ კი ოპიზელი ბერების დახმარებით შეუდგა მონასტრის მშენებლობას. მერჩულეს თანახმად მათ საეკლესიოდ ადგილი დაავაკეს და პირველი ძეგლის, ხის ეკლესია ააშენეს. შემდეგ ძმათა სენაკები და ბოლოს – გრიგოლის საყუდელი და სატრაპეზო. მალევე, აშოტ კურაპალატის სიცოცხლეშივე, ეს ეკლესია პირველი ქვის ეკლესიით შეცვალეს. სამწუხაროდ არც ეს ეკლესიაა დარჩენილი, მის ადგილას უნდა იდგეს მონასტრის მთავარი ნაგებობა, მთავარმონაზმის გიორგის სახელზე აგებული გუმბათიანი ტაძარი.

რაც შეეხება ყველაზე ადრეულ ნაგებობებს, გრიგოლისდროინდელად შეიძლება მივიჩნიოთ ქვის დიდი სატრაპეზო, რომელმაც ალბათ პირველი ხის სატრაპეზო შეცვალა, გალაგნის ნაწილი, ეკლესიის დასადგმელად ბაქანისათვის ამოყვანილი კედლის ქვედა ნაწილი, სატრაპეზოსთან არსებული სენაკების ნაშთები, ასევე, არქაული ფორმებით გამოირჩეული და დიდი მასიური ქვის ლოდებით ნაგები პატარა დარბაზული ეკლესია წყაროს თავზე.

- ე. ი. გუმბათიანი ეკლესიაც და სამრევლოც გვიანდელია?

- სამრევლოების მშენებლობა საქართველოში XIII


საუკუნიდან იწყება, ხანძთის სამრევლო ერთ-ერთი ადრეულია და საკმაოდ კარგად შემორჩენილიც. აქ დაცულ წარწერაში მოხსენიებულია სამრევლოს მამუნებელი მარკოზი. ეს წარწერა ხანძთის სწორი იდენტიფიკაციის ერთ-ერთი საბუთიც გახდა, რამეთუ სინას მთაზე დაცული ერთ-ერთი ხელნაწერის თანახმად ხანძთის სამრევლოს მამუნებლად მარკოზი მოიხსენიება.

რაც შეეხება ხანძთის მთავარ ეკლესიას, ის უკვე გრიგოლის შემდეგ, X ს-ის პირველ ნახევარში, 910-20-იან წლებში აშენებულა, აშოტ კუხისა და მისი მემკვიდრის გურგენის მმართველობის ხანაში. მშენებლობის მომსწრე ყოფილა გიორგი მერჩულე, მისმა თხოვლებამ კი ამ ტაძრის შენების ამბავი და მისი ხუროთმოძღვრის, ამონას სახელიც დაგვიტოვა.

- როგორ დაახასიათებთ ხანძთის მთავარი ტაძრის არქიტექტურას, რა ტიპის, რა სტილის, რა ხარისხის არქიტექტურასთან გვაქვს საქმე?

- ხანძთის გუმბათიანი ეკლესია დომინირებს მთელს გარემოზე. ეს ყველაზე დიდი და მაღალი შენობაა. მისი გაზარიტული ზომებია: 12X18 მ.მ. გარდა ამისა, ტაძარი კარგად დამუშავებული ქვის ზედაპირით და სწორედ მორგებული პროპორციული აგებულებითაც გამოირჩევა. გიორგი მერჩულის სიტყვები, რომ ამონა „სიბრძნით სრულიად მაშენებელი“ ოსტატი იყო, უტყუარი ფაქტია. ხანძთის ეკლესია იმ დროისათვის გამოჩეული ძეგლია როგორც ხარისხით, ასე ტიპოლოგიურად და





ცალკეული ელემენტების გამოყენებით. ეს ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობაა, როდესაც ჯვარი მართკუთხა გეგმაშია ჩანერილი. ეს ტიპი კლარჯეთში პოპულარული არასოდეს ყოფილა, თუმცა ამ ტიპის კლასიკურ ნიმუშს, წრომის ეკლესიას თუ გავიხსენებთ, ნათელია თუ რა განზომილებებით აზროვნებდა ამონა.

აღმოსავლეთით სამნაწილიანი საკურთხეველია, ღრმბაბეიანი აფსიდითა და მართკუთხა ფორმის პასტოფორიუმებით, რომელთა დანიშნულება ტრადიციულად მარცხნივ – სამკვეთლოსი, მარჯვნივ კი – სადიაკონესი უნდა იყოს. ჯვრულად განლაგებული მკლავები დასავლეთთან შედარებით დაგრძელებულია, რაც კლარჯული არქიტექტურისათვის იყო დამახასიათებელი; ერთი წყვილი სწორკუთხა და შედარებით დაბალი სვეტების საშუალებით მკლავი სამ ნავად იყოფა. ტრომპების მწკრივი – გუმბათის სფეროს სიმრგვალებს უზრუნველყოფს. ტრომპების გამოყენება უცხოა მთლიანად ე.წ. ტაო-კლარჯეთის არქიტექტურისათვის, სადაც ერთადერთ დამკვიდრებულ ფორმას აფრა-ტრომპი წარმოადგენს. მხა-

ტვრულად არის გადაწყვეტილი კამარების დამჭერი გუმბათის ქვეშ დაკიდული თაღების აგებულებაც, რომლის ანალოგი ჩვენთვის უცნობია.

ექსტერიერში გეგმით მართკუთხა ტაძრის ჯვარგუმბათოვნება მასების ამოყვანითა და მათი გადახურვის საშუალებით იქმნება. სადა, რელიეფებისა და ორნამენტაციისგან თავისუფალი ტაძრის მხატვრულ ეფექტს მისი გუმბათი ქმნის. გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია. გუმბათი ნახევრადგაშლილი ქოლგის მსგავსი კონუსითაა დაბურული, შესაბამისად ყოველი წახნაგის თავზე პატარა და მაღალი ფრონტონები იქმნება. სწორედ ეს, რიტმული და საზეიმო განწყობის გუმბათი ქმნის ხანძთის მთავარ ეფექტს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაძარი კარგად გათლილი და სწორ რიგებად დაწყობილი ქვის პერანგითაა შემოსილი ისე, რომ ექსტერიერში დულაბი არსად არ მოსჩანს. უმაღლესი დონის სამშენებლო ხარისხი, რომელიც მხოლოდ იმხანად იკიდებდა ფეხს და მხოლოდ X ს-ის მეორე ნახევარში ჰპოვებს ფართო გავრცელებას, ხანძთაში უკვე სახეზეა.


მერჩულე წერს, რომ ამ ქვას წონით ყიდულობდნენ და საპალნე გზის არარსებობის გამო შორი გზიდან ზურგით ეზიდებოდნენ – ხანძთა ხომ უმნიშვნელოვანესი და უდიდეს სამონასტრო კერასა და კლარჯეთის სახლის ბაგრატიონთა მთავარ სულიერ საყრდენს წარმოადგენდა.

- რელიეფები არ გვაქვს, არც ორნამენტაცია, განა არაფერია საკრალური ამ არქიტექტურაში?

კლარჯეთის არქიტექტურა, განსხვავებით მეზობელი ტაოს არქიტექტურისგან, უფრო სადა და ასკეტურია. რელიეფები არ არის ერთადერთი ჯვარი რომელიც მხოლოდ წითელი ქვითაა გამოყვანილი და არ გააჩნია არანაირი ორნამენტაცია, აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონის ქვეშ სარკმლის თავზე იყო ჩასმული, რადგან ამ მხრიდან ეკლესია ფაქტიურად მიუდგომელია და მისი დანახვა მხოლოდ შორიდანაა შესაძლებელი, ჯობაძე თვლიდა, რომ მას არა დეკორატიული, არამედ სწორედაც რომ საკრალური ფუნქცია ეკისრებოდა და ის მოასწავებს მაცხოვრის მეორედ მოსვლას. ჯობაძე აღმოსავლეთის სარკმელს მეორედ მოსვლის ხილვის სარკმელს უწოდებს, ჯვარი კი ქრისტეს წინამორბედი. მისი განმარტებით, წითელი ფერის შერჩევაც მეორედ მოსვლის სიმბოლური გაცხადებაა, რამეთუ წითელი ფერი ნიშნავს ქრისტეს დაღვრილ სისხლს და ესქატოლოგიურ ცეცხლს.

რამდენად იქონია ხანძთის არქიტექტურამ გავლენა ქართულ სუროთმოძღვრებაზე?

- ხანძთის არქიტექტორმა ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი მოტივი დაამკვიდრა. ეს არის გუმბათის ნახევრადგახსნილი კონუსის ფორმა. როგორც ჩანს, ზიგზაგისებრი ფორმები მას საკმაოდ სიბლავდა და ეს ფორმა ორჯერ, ინტერიერშიც და ექსტერიერშიც გამოიყენა, თუმცა მხოლოდ გარე ფორმა დამკვიდრდა და განვითარდა. ნახევრადგაშლილი კონუსით იყო დაბურული მეზობლად მდებარე ოპიზის ეკლესიაც, რომელიც ხანძთის ეკლესიის შემდეგ უნდა აღდგენილიყო დაახლოებით 945-954 წწ-ში. ზიგზაგისებრი გადახურვა აქვს ოშკის სამხრეთ გალერეას. გუმბათის გადახურვის ეს ფორმა ფართოდ დამკვიდრდა სომხეთის არქიტექტურაშიც. სომხეთის გავლით კი ის უკვე მუსლიმური კულტურის, მეულანას არქიტექტურის განუყრელ ნაწილად იქცა. თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში ხანძთის გუმბათის გამოძახილია თბილისის სამების კათედრალის გუმბათი, სადაც კონუსის ნახევრადგაშლილი ქოლგის ფორმა აქვს, მაგრამ ფრონტონების გარეშე. როგორც ვხედავთ, ხანძთის დიზაინმა არა მხოლოდ



ქართულ არქიტექტურაზე და არა მხოლოდ ქრისტიანულ არქიტექტურაზე იმუშავა.

- მთავარი კითხვა, რატომ დაინგრა ხანძთა?

- უნდა გავნმარტოთ, რომ ჩამოინგრა მხოლოდ ხანძილი. სრულად ჩამოინგრა მხოლოდ გუმბათის სფერო და თითქმის მთლიანად – კონუსი. გუმბათის ყელი ნაწილობრივ შემორჩენილია.

ხანძის არქიტექტურა, ნიკო მარის გამოქვეყნებულ ფოტოებშიც საკმაოდ დაზიანებული იყო, მაგრამ ამ ტაძარს ყველაზე ძლიერი საფრთხე მას შემდეგ შეექმნა, რაც ოქროსმადიებლებმა გუმბათის დამჭერი ოთხი საყრდენიდან ორი ფაქტიურად მთლიანად გამოანგრეს. ამან გუმბათის სიმძიმის არათანაბარი გადანაწილება ქვების ცვენა გამოიწვია. საკვირველია, აქმდე რომ არ დაინგრა, ეს ალბათ ისევე სწორი კონსტრუქციისა და მაღალი ხარისხის არქიტექტურის წყალობით. ამას შემდეგი გარემოებაც დაერთო: გზა, რომელიც უკანასკნელ დრომდე საცალფეხო იყო, გასულ ზაფხულსა და შემოდგომით სამანქანო გზით შეიცვალა, რომელიც პირდაპირ ნამონასტრალამდე, წყარომდე მივიდა. შე-

საძლოა ეს გახდა ისედაც შერყეული არქიტექტურის ნგრევის მიზეზი, საბაზი კი დიდთოვლობა იყო.

- რა პერსპექტივებია ხანძის სარეაბილიტაციოდ ?

- რა სამწუხაროც და საზარელიც არ უნდა იყოს ფაქტი ხანძის ნგრევის შესახებ, ცხადია, რომ ამ მოვლენამ პროცესები დააჩქარა. ამისათვის ნიადაგი უკვე არსებობდა, საქართველოსა და თურქეთის კულტურის სამინისტროების მიერ შემდგარი ექსპერტების ერთობლივი ჯგუფი უკვე მუშაობდა პრიორიტეტების გამოსავლენად, მათ შორის ხანძთაშიც ჩატარდა აზომეითი სამუშაოები. წინასწარი შეთანხმებით, პრიორიტეტად ოშკის რეაბილიტაცია სახელდებოდა, თუმცა ამ მოვლენამ ვითარება შეცვალა და უკვე დეკემბრის ბოლოს თურქ და ქართველ ექსპერტთა ერთობლივი ჯგუფი, ბატონი ვანო გრემელაშვილის ხელმძღვანელობით, ართვინის ვილაეთის მესვეურებთან და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად კვლავ ეწვია ხანძთას. ჩატარდა სერიოზული, საფუძვლიანი სამუშაოები. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა ხა-

ნძის პროექტი, შესრულდეს გამონაკლისის სახით დაუყოვნებლივ და ძალაში დარჩეს სამზადისი ოშკის, როგორც საპილოტო პროექტის მოსამზადებლად. წარმატებული საპილოტო პროექტის შემთხვევაში კი შესაძლებელი გახდება თანმიმდევრული აღდგენა და რეაბილიტაციის პროცესი სხვა ძეგლებსაც შეეხება. მაგალითად, ასევე საგანგაშო მდგომარეობაა იშხანში, ოთხთა ეკლესიაში. ჩვენს თვალწინ ქრება უნიკალური მოხატულობა მამანშინდის ეკლესიაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხანძთა ერთ-ერთი ყველაზე სრულად დაფიქსირებული ქართული ძეგლია თურქეთის ტერიტორიაზე. არსებობს, როგორც ძველი, ასევე თანამედროვე ანაზომები, აურაცხელი ვიდეო თუ ფოტომასალა, რომელთა მეშვეობით ტაძრის სრული რეკონსტრუქცია და მისი ფაქტიურად პირვანდელი სახით აღდგენა სრულად შესაძლებელია.

გასალა მოაგზავს გიორგი კალანდია
ზ. ბატიაშვილის და პ. კალანდიას ფოტოები





The Future of Khandzta Church

In December 2007, the dome of Khandzta church collapsed. Fortunately, only the upper, spherical part of the dome was destroyed fully. The fact proved equally distressing for the Georgian and Turkish historians, architects, art critics and the general circle of stakeholders, acknowledging the value of cultural heritage. Khandzta Church belongs to the number of outstanding architectural monuments, but it requires thorough restoration and promotion. However controversial this may seem to you, the recent damage offered some positive opportunities to Khandzta, which has now turned into a subject of active negotiations with Turkish and Georgian parties showing special interest and sympathy toward the monument. So what is the future of Khandzta? We discussed this issue with Ms. Irina Giviashvili, D.A., Member of the British Archaeological Institute of Ankara and American Research Institute of Turkey. This interview will reveal to readers many interesting facts, unknown until now.

Ms. Irina, can you please remind the readers of STYLE Magazine the history of Khandzta?

The ruins of Khandzta Monastery are located in a highland village nowadays named Pinali.

We would have known nothing about this monastic complex and its founder St. Grigol Khandzteli, if not the hagiographic composition by Giorgi Merchule, the only copy of which (dated 11th century) was stored in the Georgian manuscripts' fund of Jerusalem Patriarchate archives. It was discovered by N. Chubinashvili in 1845 and published by N. Marr in 1911.

Nico Marr had an intention of locating the monasteries founded by Grigol Khandzteli in Klarjeti and publishing his findings together with the ancient manuscript. In 1902 he launched a



special expedition, but identification of Khandzta proved a very complicated, confusing task. At some stage, Nico Marr mixed Khandzta with Nuka Church and identified Porti Monasteri as Shatberdi, but he still had subconscious doubts, which are frankly expressed in his diary: "So where is Shatberdi? Though St. Grigol is called Khandzveli, it still seems to me that Shatberdi has stronger associations with him; I suppose that he was a great deal more attached to Shatberdi than to Khandzta... Stepping over the threshold of the monastery, I was moved to the tears by the thought that I am entering the place with which the ancient enlighteners were so closely connected..."

A place with which the ancient enlighteners were so closely connected... How close is the connection of this place to the modern world?

I do not think that there should have been so much publicity about renewal of Christian service in Khandzta Monastery, though it would not be right to keep this fact in secret either. I mean that the beliefs and faith of the people populating vil-

lages around Khandzta should be respected. For many of us Khandzta remains a sacred place, but we should remember that this heritage now belongs to Turkey as much as to Georgia and treat it with special care and tact.

Khandzta Complex consists of various constructions. Which of them date back to St. Grigol and who built the domed church in Khandzta?

